№ 2819
შაბათი,
14 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2819
შაბათი,
14 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წელიწადში—8მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27**. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

კვირას, 15 მაისს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი **ეკატერინე სიმონის ასული და მეუღლე ელისაბედ ანტონის ასული შვილებიურთ**. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, პანაშვიდი—12 ს. (2—6.—2)

თავ. **ნიკოლოზ (კოკი) ნიკოლოზის ძე დადიანი, კნ. ეკატერინე გრიგოლის ასული მიქელაძისა, კნ. ალექსანდა მიხეილის ასული ჩხეიძისა და თავ. ბონდო მიხეილის ძე მიქელაძე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 19 ამა მაისს ს. წყემს გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის პირველის—საყვარელი მეუღლის, მეორეს—ქალიშვილის და მესამესი—დის

კნ. ნინო (ლაილო) მიხეილის ასულის დადიანის

სულის მოსახსენებლად. (3—1)

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 15 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ქართველ მოღვაწის მემუსიკის

ვლადიმირ ალნიაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—უ.—1).

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა

ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, № № 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—24)

იმერეთის სამღვდელოების

სანთლის საწყობი

ამით აცხადებს, რომ საჭიროა გამგე ამ საწყობისა. გამგედ უნდა იყოს უმრევლო მღვდელი, რომელსაც დაევალება: 1) საწყობში მზა-მზარეულ სანთლის მიღება და გაყიდვა, 2) წარმოება სანთლის საწყობთან არსებულ საეკლესიო ნივთების საწყობისაც, თუ ის უკანასკნელი არ გადავიდა კერძო მოიჯარადრის ხელში, 3) ვაჭრობის წარმოება სხვა სავაჭრო დაწესებულებათა შემსგავსებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის უნდა ვაჭრობდეს კვირა-უქმეებშიაც, დილით, რვა საათიდან თორმეტამდის, 3) სამსახური ამ სამწყსოში არა ნაკლებ ორი წლისა და 5) წარმოდგენა არა ნაკლებ ორი ათას მანეთად ღირებულ გირაოსი.

გამგეს მიეცემა წელიწადში შვიდასი (700) მანეთი და საეკლესიო ნივთთა საწყობის წმიდა მოგებიდან ათი პროცენტი (10%). მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს. (10—6კ.—10).

გაიღო რესტორანი ბაღით

„ბანდებილი“

(მეორ ფუნიკულერიდან)

მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:

ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო.	50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით	75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით	1 მ.

დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—208—3)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

ქარხანა

და **ავეჯეულობათა სავაჭრო** პირველ მაისიდან მოთავსებულნი არიან ერთად: ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25 „ვერსალ“-ის სასტუმროსთან სახლოს. მყიდველთ და შემკვეთელთ ვსთხოვთ მოგვმართონ აღნიშნულ ბინაზე. (5—3)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 მაისისთვის დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება რწმუნებულთა ამოსარჩევად ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში. (3—6.—3)

რესტორანი

„ფუნიკულერი“.

1 ს. 5 ს. **სადილი 4 ბლუდი** 1 მ. 50 კ.

სადილი 14 მაისისთვის

დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილი მზარეული მ. მიშელისგნით.

1. შჩი ლენივი პიროჟკებით.
2. აკროშკა.
3. კონსომე გრენკით.
4. კატლეტი მეფური.
5. ზუთხი შემწვარი.
6. პლომბირი.

და 7. ყავა.

მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა ღამის 11 საათამდე.

5 საათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.

(0—3) პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ექიმი
ბ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306. 5)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—3)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—8 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (80—278—26)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

სადგომი: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი.

ექიმი
ბ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ № 545 ტელეფონი № 825. (90 296—57).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 მაისი

ნიუ-იორკი, 12 მაისი. „ასოსიეტედ პრეს“-ისაგან მოწოდებული ხმა ზღვის ბრძოლის შესახებ მანილლიდანაა გამოგზავნილი.

ლონდონი, 22 მაისი. „მორნ. პოსტ“-ის იაპონელ კორესპონდენტების აზრით, საზღვაო ბრძოლა სანგარის სრუტეში მოხდება. იმათ რუსის ესკადრისთვის ეს გზა საუკეთესოდ მიაჩნიათ ვლადივასტოკს მისასვლელად. კორესპონდენტები დაბეჯითებით ამბობენ, ტოკიოს ბუხტა საკმაოდაა გამაგრებულიო. ტოკიო და იოკოგამა, ალბად, უვნებლად დარჩებიან.

ლონდონი, 11 მაისი. რადგანაც რუსის აგენტებმა შეუკვეთეს ნახშირი ლონდონში და სანოვაგე წყნარ ოკეანეს პორტებს ავსტრალიასა და ჩინეთში, რათა იქიდან დაუყოვნებლივ გადაზიდონ ტვირთი ნიკოლაევსკში ამურზე, აქ ფიქრობენ, რომ რუსეთს განზრახვა აქვს ნიკოლაევსკი მარქაფა ბაზათ გადააქციონ როჟესტვენსკისთვის, თუ ვლადივასტოკი ვერ შეიძლებს დაიტიოს 20 ათასი კაცი ბალტიის ესკადრისაგან.

ლონდონი, 12 მაისი. საფრანგეთის ანამელმა მთავრობამ აკრძალა იაპონელების ჟურნალ-გაზეთებისა და სამხედრო გრავიურების შემოტანა. იჭერენ აგრეთვე ფოსტის კორესპონდენციებსა და დეპეშებს. ომის დაწყებიდან ტონკინსა და საიგონში საფრანგეთმა თვისი ჯარების რიცხვი 20 ათას კაცამდე ასწია; საიგონში ოთხი ფლოტი გამართა.

პარიჟი, 12 მაისი. იაპონიაში მოვიდა 12 სამხედრო გემი, სანოვაგით დატვირთული, რომელნიც ინგლისიდან არიან გამოსული.—ინგლისის ტოკიოელ მისიის სეკრეტრის მოხსენების თანხმად, იაპონელების ბაჟები აუტანელი გახდა ომის გამო; ეს ბაჟები 80%-ით მეტია 1904 წლისაზე.

ევპატორია, 11 მაისი. დაიწყო გაფიცვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეებში. ისინი ჯამაგირის მომატებასა და სამუშაო დროს შემცირებას თხოვენ.

კოვნა, 12 მაისი. ამ უკანასკნელ დროს აქაურ დიდს სალითონე ქარხნებში აღელდება ეტყობა მუშებს. მუშაობა ჯერ არ შეწყვეტილა.

მიტავა, 11 მაისი. ბალტიის მხრის სხვა-და-სხვა ადგილებიდან ცნობა მოვიდა, ბრბომ ძალით გაატარა მასტორები წითელ ბაირაღებით ხელში ქუჩა-ქუჩა პროცესიის წინ.

მონტევიდეო, 11 მაისი (ლონდონის გზით). გამოცხადდა საერთო გაფიცვა, პორტში აღარც ვაჭრობაა და აღარც მუშაობა.

ბუდაპეშტი, 12 მაისი. ანდრაში დაბრუნდა ვენიდან მეტად იმედ-დაკარგული და განაცხადა, ისეთი გრძნობა დამებადა რადაც, ვითომც ვინმე ჩუმ-ჩუმათ საფრთხეს უმზადებდეს უნგრეთს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
11 მაისი.

ტოკიო, 10 მაისი. (დეილი ტელეგრაფი). „გრომობოი“ დრო-გამოშვებით დადის ვლადივასტოკთან. ამ ჟამად იგი პორტის გარეთ დგას.

პეტერბურგი, 12 მაისი. საზღვაო სამინისტროს მმართველმა უთხრა „რუს“-ის თანამშრომელს, ტყუილია ის ხმები, რომელნიც როჟესტვენსკის ჯან-მრთელობის შესახებ დაჰყარეს. როჟესტვენსკი იუწყება, რომ ის მოქანცულად გრძნობს თავს, მეტადრე თირკმლების ტკივილის გამო, მაგრამ ის ისევეა, როგორც ზღვაში გამგზავრებისას იყოს. ავათაა ფელკერზამი. როჟესტვენსკი უწინდებურათ თაოსნობს ესკადრას და შეურყევლად მიჰყავს იგი დანიშნულ მიზნისკენ. ბირილევის დანიშვნა მოსალოდნელი იყო, ვინაიდან როჟესტვენსკი მხოლოდ უფროსია ესკადრისა. ყველანი დარწმუნებულია, რომ როჟესტვენსკისა და ბირილევს შორის არ ჩამოვარდება ანტაგონიზმი. ჩქარა საზღვაო ბრძოლას უნდა მოველოდეთ. პორტ-არტურის ეპოპეია არ განმეორდება. როჟესტვენსკის ბევრი საშუალება აქვს, მიაღებინოს იაპონელებს ომით.

მანილა, 12 მაისი (რეიტერი). აქ ხმებია რუსისა და იაპონიის ესკადრები შეხვდნენ ერთმანერთს ფორმოზასთან და იაპონელები დამარცხდნენო. ამ ხმებს დამტკიცება სჭირია.

მანილა, 12 მაისი (რეიტერი). ოფიციალური დეპეშა მოვიდა ვიგანიდან, 7 მაისს ბატანის კუნძულების აღმოსავლეთის სანაპიროზე 50 სამხედრო გემი შეამჩნიესო; გემები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ მიდიოდნენ; ფიქრობენ ეს გემები რუსებისაო.

სიტიაზა, 12 მაისი. (9 მაისიდან). მთელ ფრონტზე შეტაკება მოსდით წინა რაზმებს. იაპონელებმა დაიხიეს სოფ. კანჩენცზისკენ და დაჰკარგეს 40 კაცი. სოფ. გაუდიტენში მოხალისენი დაეცნენ იაპონიის პოსტს, სადაც ათი კაცი იყო; 3 მოჰკლეს, 2 დაატყვევეს, დანარჩენები გაიქცნენ. ხმებია, იაპონელები გარს შემოვლას აპირებენო.

ვარშავა, 12 მაისი. „ვარშავსკი კურიერი“ იუწყება, გუშინ საღამოს 8 საათზე, ზელიონი ქუჩაზე ებრაელ ახალგაზრდათა ბრბო დაეცა დანებით ხულიგანებს და მძარცველებს და ექვსი კაცი დასჭრა. ასევე მოხდა გრიბნის მოედანს იქითა ქუჩებში. შეიარაღებული ებრაელები უვარდებოდნენ სახლებში, ეძებდნენ ხულიგანებს და დანითა და რევოლვერებით ჭრილობას აძლევდნენ მათ. გუშინ, საღამოს ათ საათზე, ვისლის პირის რკინის გზების სადგურ პრაგაზე, უცნობმა რევოლვერით მოჰკლა დეპოს უფროსის თანაშემწე ანტონ შერი.

ეკატერინბურგი, 12 მაისი. გაიფიცნენ სისერტის სამთა-მადნო ქარხნები.

სოფია, 12 მაისი. გაფიცულ სტუდენტებსა და არა გაფიცულთ შორის მთელი ბრძოლაა. გუშინ კირილესა და მეთოდის დღესასწაულზე, როცა მთავრის სასახლესთან შეიკრიბნენ მინისტრები და აუარებელი ხალხი, შეტაკება მოხდა სტუდენტებს შორის. ერთმა სტუდენტმა რევოლვერი გაისროლა. ხალხში ჩოჩქოლი ასტყდა. ერთი სტუდენტი დაიჭრა.

სარატოვი, 12 მაისი. არსდება კავშირი ბანკსა და სავაჭრო კანტორებში მოსამსახურეებს შორის.

პეტერბურგი, 12 მაისი. დღეს გაიხსნა კუტლერის კომისიის სხდომა; ამ კომისიას მინდობილი აქვს შეიმუშავოს პროექტი შემოსავლისდა მიხედვით გადასახადის განაწილებისა.

ბაქო, 12 მაისი. თ. ნაკაშიძის მკვლელობის დაწვრილებითი ცნობები: 11 მაისს, 3 საათზე თავადი სპარსელთა საკონსულოდან მიდიოდა და უნდოდა წასულიყო „მეტროპოლ“-ის სასტუმროში სპარსეთის ელჩის სანახავად. ველიკოკნიაჟესკი პროსპექტის შესახვევთან უცნობმა ბომბა ესროლა მას ეტლში. აფეთქების ხმა ქალაქის შორეულ კუთხეებში გაიგონეს. მეზობელ მაღაზიებში ფანჯრები ჩაილეწა. გაზეთი „ბაკინსკია იზვესტია“ აკვეთა სამხედრო გუბერნატორმა. მუშაობა დაიწყო.

კიევი, 12 მაისი. შაქრის ქარხნების პატრონთა თათბირის დროს 8 საათი შემოიღეს ქარხნებში სამუშაოდ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბ. გედკეს აზრი სამხედრო მოქმედების ვითარებაზე. პოლკოვნიკი გედკე ამტკიცებს „ბერლინერ ტაგებლატ“-ში, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის ჩასვლამ შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში დიდი გავლენა იქონია სამხედრო მოქმედების ვითარებაზეო. ბალტიის ფლოტი რომ შორეულ-აღმოსავლეთს არ წასულიყო, გენ. ლინევიჩი აქამდე ხარბინს იქით იქნებოდა და მარშალი ოიამა ვლადივასტოკთან იდგებოდაო. თუ მომავალ საზღვაო ბრძოლაში რუსის ადმირალი გაიმარჯვებს, მაშინ ხომ მარშალი ოიამა დიდ გაჭირვებაში ჩავარდება, მით უმეტეს, რომ იაპონელ სარდალს ჯარიც არა ჰყავს რუსის სარდალზე მეტი. ბოლოს გედკე ასე ათავებს თავის წერილს: მაგრამ მე იმის თავდებად ვერ დავდგები, რომ მარშალი ოიამა ამას იქითაც ვერ შეიძლებს ხარბინამდე და ვლადივასტოკამდე მისვლას. მართალია, ორთავ მთავარ-სარდალს თანასწორად ჰყავთ ჯარი, მაგრამ იაპონელებს დიდი ზნეობრივი და გონებრივი უპირატესობა აქვთ, განუწყვეტლივ იმარჯვებდნენ, იმათი ჯარი საუცხოვოდაა მოწყობილი, იაპონელი სალდათი და ნამეტნავად აფიცერი და გენერალი გაცილებით მაღლა დგანან რუსის სალდათსა, აფიცერსა და გენერალზე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ რუსის მთავარ-სარდალი გაცილებით დიდ პასუხისგებაშია, ვიდრე იაპონელი მთავარ-სარდალი. გენ. ლინევიჩი რომ დამარცხდეს, ეს მთელის ომის წაგების მომასწავებელი იქნება, მარშალ ოიამასთვის-კი დამარცხება მხოლოდ პირველი უსიამოვნო ეპიზოდი იქნება. კორეია, პორტ-არტური, ინკოუ, ლიაოიანი, მუკდენი და ტელინი ხელში უჭირავთ იაპონელებს და ეხლა გინდ მარცხი მოუვიდეთ, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. ასეა ზღვაზეც: ადმ. როჟესტვენსკიმ უსათუოდ უნდა გაიმარჯვოს, რაც უნდა ძვირად დაუჯდეს ეს გამარჯვება, ადმ. ტოგომ-კი პირველ ბრძოლაშივე რომ ვერ გაიმარჯვოს, მეორე ბრძოლაში შეისრულებს დანაკლისს. („ო. ნ.“).

როგორც ვიცით, ბევრი სამხედრო მიმომხილველი ბეჯითად ამტკიცებს, რომ ადმ. როჟესტვენსკის მოქმედებას სათქმელი გავლენა არ ექნება იაპონიის არმიის მოქმედებაზე; გინდ ადმ. როჟესტვენსკიმ გაიმარჯვოს, მარშალ ოიამას ბევრი არა დააკლდება რა, რადგან იაპონელებმა მეტად მაგრად მოიკიდეს ფეხი მანჯურიაში, ყველაფერი დაიმზადესო, მით უმეტეს, რომ რუსის ესკადრა გამარჯვების შემდეგაც ვერ მოუჭრის საზღვაო გზას იაპონიის არმიასაო.

შუა მანჯურიაში. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება გუნჩჟულინიდან: ხმა დადის, იაპონელებმა დიდი ჯარი დააყენეს რუსის მარცხენა ფრთის პირდაპირ და თავიანთი ფრონტი ისევ გააგრძელესო. მაგრამ ამავე დროს ცნობები მოდის, რომ იაპონელებმა რუსის მარჯვენა ფრთის პირდაპირაც მიიყვანეს დიდი ჯარიო. დღემდე არ გამოირკვა, სად აპირებენ იაპონელები უმთავრეს იერიშს მიტანას და სად მოახდენენ დემონსტრაციას, თუმცა ეს დემონსტრაციაც ჩვეულებრივად სერიოზული ბრძოლა იქნება. აქ უმეტესობა იმ აზრისაა, რომ გინდ რუსის არმიამ ეხლანდელ პოზიციიდან უკან დაიხიოს, ჯერ მაინც ყველგან შეებრძოლება იაპონელებსაო. გუნჩჟულინში მეცხოვრე ჯარის უფროსი რიგიან წესების შემოღებას განაგრძობს.

„რუს“-ის კორესპონდენტი იუწყება გუნჩჟულინიდან: დღე და დღე მდგომარეობა უფრო და უფრო სერიოზული ხდება, ელიან, რომ მთელ ფრონტზე გაიმართება ბრძოლა; თუმცა დიდ ამბებს მოელიან, მაგრამ პოზიციებზე, თუ უკან ყველა მუკდენის კატასტროფაზე ლაპარაკობს; მხოლოდ სრული გამარჯვება თუ გაგვიქარვებს მუკდენთან დამარცხების სიმწარეს... ერთი კვირა ხარბინში გავატარე, იქ დიდი ქეიფი და სმა და ღრეობაა: ცირკი, თეატრი, კაფე-შანტანები ძალზეა გაჭედილი ხალხით; იქ მეტად ბევრი კაფე-შანტანია. მოხერხებული კაცები ისევე მალე მდიდრდებიან, როგორც ბედნიერი მოთამაშენი მონაკოში, ფული იმდენად იაფია აქა, რომ რესტორანის ლაქია თვეში არა იშვიათად 500 მანეთზე მეტსა შოვობს.—ყველგან, მეტადრე დიდ სადგურებზე, ხარბინსა, ჩიტასა და ირკუტსკში საერთოდ უჩივიან ფოსტას. გუნჩჟულინში ფოსტას თითონ ადრესატები არჩევენ. ყველა მიდის და სჩხრეკს წერილების ხროვას, ეგები ჩემ სახელობაზე წერილი მოსულიყოსო.

როგორ მოიქცევა ადმ. ტოგო. „დეილი ნიუს“-ის პარიზელ კორესპონდენტს ადმ. ტოგოს მოქმედებაზე უსაუბრნია ერთ მცოდნე და იაპონელთა წრეებთან დაახლოვებულ პირთან. ამ პირს უთქვამს: რუსის ესკადრა რიცხვით ძლიერია იაპონიის ფლოტზე, ამიტომ ადმ. ტოგო ისევე მოექცევა რუსის ესკადრას, როგორც ინგლისელი ადმირალი ჰოვარდი მოექცა ესპანიის განთქმულ „დიდ არმადას“. ადმ. ტოგო ეცდება, რუსის ესკადრა წყნარ ოკეანეში განდევნოს, ინდო-ჩინეთსა და იაპონიას დიდ მანძილზე დააშოროს, ნაწილ-ნაწილ გაჰყოს და მერე ნაწილ-ნაწილ დაამარცხოსო. თუ ეს ვერ მოხერხდა, იქნება იაპონელმა ადმირალმა ვლადივასტოკს წასვლა არც-კი დაუშალოს რუსებს, რადგან იქ რუსის ესკადრა იმავ მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც პორტ-არტურის ესკადრა იყო ჩავარდნილი. („ო. ნ.“).

იაპონელების სიფრთხილე. დეპეშებიდანაც ვიცით, რომ იაპონელებმა ბალტიის ესკადრის მოლოდინში ძლიერ გაამაგრეს კუნძული ფორმოზა, პესკადორის კუნძულები, კორეისა და სუნგარის სრუტეები. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი სწერს: „პესკადორის კუნძულებზე დიდძალი პროვიანტი და სამხედრო სურსათი მიზიდეს და დიდი ზარბაზნები დააწყეს. კუნძულ ფორმოზაზე კილუნგის ნავთ-სადგურში ნაღმები ჩააწყეს, შესავლის გარშემო ბატარეები დადგეს; გემები ნავთ-სადგურში ოფიციალურ ლოცმანის ხელმძღვანელობით მიდი-მოდიან. კუნძულ ფორმოზას დასავლეთ მხარეს მდებარე პორტი ტამსუიც ძლიერაა გამაგრებულ ტამსუიდან 10 მილის მანძილზე ჯარი დგას. ბევრს ჯარის-კაცს ჩინეთის ომში მიუღია მონაწილეობა. ჯარი ტაიპეხესა, ხოკუტასა და ტაიხუშიაც დგას; სულ ფორმოზაზე 15 ათასი ჯარის კაცი იქნება. კუნძულის ყველა მცხოვრებს, ვისაც-კი იარაღის ხმარება შეუძლიან, სამსახურში გაიწვევენ, თუ საჭირო იქნება. ერთი იაპონელი კაპიტანი ირწმუნება, კილუნგსა (ფორმოზას ჩრდილოეთ მხარესაა) და პესკადორის კუნძულებს შუა 85 სხვა-და-სხვანაირი გემი ჰყავთ იაპონელებსაო. („რ.“).

ხმა ადმ. როჟესტვენსკის ავადმყოფობაზე. „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი ბეჯითად იმეორებს: სარწმუნოდ გავიგე, რომ ადმ. როჟესტვენსკი მალე გადადგება სამსახურიდან ავადმყოფობის გამოო; ძლიერ ავადაა და ძლივს დადისო. ჯერ კიდევ მაშინ გახდა დიზენტერიით ავად, როცა მისი ესკადრა აფრიკას მიუახლოვდა; ეხლა კი ადმირალს საერთო დამბლა გამოაჩნდა. ესკადრას ნებოგატოვი წაიყვანსო. იმედი აქვთ მაინც, რომ თუ ვინიცობაა ბრძოლა მოხდა, რუსის ესკადრას კიდევ ადმ. როჟესტვენსკი გაუწევს წინამძღოლობასაო. იმედი აქვთ აგრეთვე, რომ რუსის ესკადრა უბრძოლველად მივა ვლადივასტოკამდეო. („ნ.“).

ვლადივასტოკის დოკები. ამას წინად ვლადივასტოკის კრეისერები „გრომობოი“ და „როსია“ ზღვაში გავიდნენ, მესამე კრეისერი „ბოგატირი“-კი არ გასულა. ამის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ვ. მ. სწერს: „ალბად, ეს მშვენიერი კრეისერი სამუდამოდ დაეკარგა რუსის ფლოტს, თორემ ასეთ გაჭირვების დროს ისიც გავიდოდა ზღვაში. წარსულ წლის 2 მაისის შემდეგ, როცა უბედური კრეისერი პეტრე დიდის ყურეში

ში კლდეს დაეჯახა, სრულმა 12 თვემ გაიარა, „ბოგატირი“-კი დღემდე ვერ გასულა ზღვაში. წარსულ ივლისში „ბოგატირი“ კლდიდან ჩამოიღეს და ვლადივოსტოკის პორტში მიიყვანეს, მაგრამ კრეისერი მაინც იმდენად დაზიანებული გამოდგა, რომ მთელ წელიწადში ვერ შეაკეთეს. აქედან სჩანს, რომ ვლადივოსტოკის დოკები და ქარხნები არ უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში; ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ რუსეთს წყნარ ოკეანეზე მხოლოდ ვლადივოსტოკში-ღა დარჩა დოკები და ადმ. როჟესტვენსკის გემებიც იქ უნდა შეკეთდეს, თუ-კი როგორმე მიაღწიეს რუსეთის სამფლობელომდე. ვლადივოსტოკში ადმ. როჟდესტვენსკის მხოლოდ სამი დოკი ექნება დიდ გემებისათვის გამოსადეგი და თუ რუსის ჯავშნიან გემებისა და კრეისერების (სულ 16) მეტ ნაწილს დაკერება დასჭირდა, ბევრს მათგანს რამდენ-რამდენიმე თვე მოუხდება რიგის ლოდინი. ადმ. ტოგოს-კი იაპონიის პორტებში 12 დიდი დოკი აქვს, სადაც უდიდეს ჯავშნიან გემებსა და ჯავშნიან კრეისერებს შეუძლიანთ შესვლა, და 7 უფრო მომცრო დოკი, სადაც პატარა — ჯავშნიან კრეისერებსა, სანაპირო ჯავშნიან და კანონირ გემებს შეუძლიანთ შესვლა; ამას გარდა 11 დოკი და მარტონის ელინგი აქვს ნაღმიან გემების შესაკეთებლად. იაპონიის ფლოტის გემებს ყველას ერთბაშად შეუძლიანთ დოკებში შესვლა შესაკეთებლად. რუსეთის საზღვაო სამინისტრომ ომამდე ძლიერი ფლოტი გაგზავნა შორეულ-აღმოსავლეთს და საკმაო დოკი-კი არ გამართა არც პორტ-არტურში, არც ვლადივოსტოკში. რუსის გემები ომამდე იაპონიის პორტებში მიდიოდნენ შესაკეთებლად.“

გენ. სტესელის გასამართლება. ამ ჟამად პეტერბურგში სამხედრო გამომძიებელი კომისია პორტ-არტურის კაპიტულაციის საქმეს იხილავს. სამხედრო წრეებში ლაპარაკობენ, გენ. სტესელმა პირველ სხდომაშივე საბუთები წარადგინა და დაამტკიცა, რომ პორტ-არტური სულ არ იყო გამაგრებული. კომისია ამის თაობაზე გენერალ-ადიუტანტ ალექსეევის შტაბს შეეკითხა. კომისიამ გამოიკვლია, რომ პორტ-არტურის გასამაგრებლადა და სამხედრო სურსათისა და მასალის შესაძენად, ხაზინას ჯერ კიდევ ომამდე 18 მილიონი მიეცა, მაგრამ როცა ომი დაიწყო, გამოჩნდა, რომ ციხეში სამხედრო სურსათი თითქმის სულ არ იყო, სიმაგრეები სუსტი გამოდგა და კასაც ცარიელი იყო. („ნ. ვ.“).

რა დაუჯდა პორტ-არტურის ესკადრას ქვა-ნახშირი. ომამდე პორტ-არტურის ესკადრის იჯარადარი 12 მანეთად უზიდავდა ტონა ქვა-ნახშირს, თუმცა 7 მ. 50 კაპეიკზე მეტად არა ჰღირდა. ომის დროს იმავე იჯარადარს 135 შილინგ. აძლევდნენ ტონაში, თუმცა ინგლისელ იჯარადარებს 70—95 შილინგად მოჰქონდათ ტონა. იჯარადარს ქვა-ნახშირის გარდა, სანოვაგეც მოჰქონდა ფლოტისათვის. თუ ვინიცობაა ქვანახშირით დატვირთულ გემს იაპონელები დაიჭერდნენ, პირობის ძალით მთავრობას უნდა ეზღო იჯარადარის ზარალი. ომის დროს იჯარადარმა 12 გემი გაგზავნა ქვა-ნახშირით პორტ-არტურს; ამათგან მხოლოდ ერთი გემი მივიდა დანიშნულებისამებრ, დანარჩენი-კი სულ იაპონელებმა დაიჭირეს. ასე ძვირად დაუჯდა რუსეთს ქვანახშირი. ჟურნალ „მორე ი ეგო ჟიზნ“-ის ანგარიშით, მხოლოდ წლევანდელ წლის პირველ სამს თვეს, იაპონელებმა 12 მილიონ მანეთის გემი და ქვა-ნახშირი ჩაიგდეს ხელში, შარშან-კი თითქმის ერთი სამად მეტი გემი დაიჭირეს, ასე რომ რუსეთს ამ საქმეში სულ მცირედ 40-50 მილიონ მანეთის ზარალი მოუვიდა. („ნ. ვ.“).

გენ. კუროპატკინი. „ნოვოსტი“ იუწყება: გენ. კუროპატკინი სწერს ერთ თავის მეგობარს: თუმცა დავიღალე, მაგრამ მაინც შემიძლიან მუშაობა და ის ხმა, ვითომ სამსახურიდან გადაყენება მეთხოვოს, საფუძველსაა მოკლებულიო.

სოფლად

აფხაზეთი. საიდანაც უნდა შეხედოთ სოხუმის ოლქის ქართველ მცხოვრებთა ცხოვრებას, გულის შემწუხებელი და სულის აღმაშფოთებელი ფაქტები აგეტუზება წინ, იმისთანა ფაქტები, რომელიც უსულო და უგულო ქვასაც აამეტყველებს. ამ ფაქტების გამთვალისწინებელი, თუ მას ერთიანად არ დახშობია ყოველივე გრძნობა ადამიანობისა, დროებით მაინც უსათუოდ იქცევა ჩაგრულთა და დევნილთა მოსარჩლედ და მწედ. უფლება აყრილ და ჩაგრულ ხალხად სოხუმის ოლქში არიან ყველაზე უფრო ქართველები (მეგრელობა). სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ დროს, როცა სხვა ეროვნებებს უფლება აქვთ სამშობლო ენაზე აუგონ წესი მიცვალებულთ, ჩვენ, ქართველები ამასაც მოკლებულნი ვართ: სიკვდილის შემდეგაც აღარ ემეტებათ ჩვენთვის თავისუფლება! მაგრამ ამაზე სხვიპის. ეხლა კი ამ წერილის საგანზე გადავალ.

უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში, როცა ასე მძლავრად მოიდგა ფეხი კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციაში ჩვენის ქვეყნის გარუსების იდეამ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მეტის-მეტად დევნა დაუწყო: ყოველ საშუალებას ხმარობდა აფხაზეთში ქართველობას არ მოეკიდნა ფეხი. ჯერ იყო და ოჩამჩირესა და გუდაუთში აეკრძალათ სხვა „ინოროდცებთან“ ერთად მამულების შეძენა. ამასაც არ დასჯერდნენ. ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ წინანდელ კეთილ შეძენილის ხელიდან გამოსაცლელად. ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთ ყოველგვარს შეღავათს აძლევდნენ და ამით ამ ჟამად ათვალწუნებული ბიუროკრატია დაუფარავად გვეუბნებოდა: თქვენ სახელმწიფოს შვილები კი არა, ათვალწუნებული გერები ხართო.

თავისუფალ სახელმწიფო მიწაზე დასახლების უფლება კი არა, იჯარით აღების უფლებაც წაერთვა ქართველობას. იმისთანა ადგილებიც არ ემეტებოდათ ჩვენთვის, რომელიც რუსთა დასასახლებლად არც კი გამოდგებოდა. ვსთქვათ, ვინმე უფლებით მოსილი მოხელე, პირად ანგარიშებისა თუ სხვა რამე მიზეზთა გამო, შესცდა და ქართველებს უვარგისი ადგილი მიუჩინა დასამუშავებლად; მაშინვე მიიღებდნენ სასტიკ ზომებს და ბედკრულთ უკრძალავდნენ მუშაობის განგრძობას. ჩემის აზრის დასასურათხატებლად მოვიყვან შემდეგ ფაქტს.

არ ვიცი, რითი და რა მოტივებით ხელმძღვანელობდა ბ-ნი „ლესნიჩი“ ფონ-დერვიზი, იმით, თუ, რომ, როგორც ერთმა გავლენიანმა ადგილობრივმა მოხელემ განაცხადა — миссія туземцевъ-мингрельцевъ, армянъ и пр. очищать землю и дѣлать ее годною для культуры, на этомъ ихъ миссія оканчивается! (ეს აზრი „Чер. Вѣстник“-შიაც იყო გამოქვეყნებული), თუ რამე სხვა პირად ანგარიშებით, მხოლოდ ეს კი ფაქტია, რომ ხუთიოდე წლის წინად მან დაასახლა ათიოდე გაჭირვებული მოსახლე სვანი ჩხალთაში (წებელდაში) ტყე-ჯაგნარად ქცეულ სახელმწიფო ადგილზე, ფორმალურ პირობითაც შეეკრა ახალ მოიჯარადრეებს. სვანის შრომის უნარი და მხნეობა ყველას მოეხსენება: დიდიან-პატარიანა, ქალიან-კაციანა მთელი თავის ძალ-ღონით შეუდგნენ საქმიანობას, გაჰკაფეს ჯაგნარი, გასწმინდეს ადგილი, გააშენეს კოხები, სისხლითა და ოფლით მორწყეს ყოველი მტკაველი „ახალ სამშობლოსი“ და რამდენიმე ათი წელიწადი უხმარ-ურგები ადგილები მშვენიერ მამულად აქციეს და მათი „მისიაც გათავდა“! ადგილობრივ მთავრობისაგან გამოეცხადათ, რომ ეს ადგილები დანიშნულია რუსთა დასასახლებლად, რის გამოც უნდა აიბარგოთო. ვინ მოსთვლის, რამდენი დღე მშიერ-მწყურვალი დაალამეს, რამდენი ღამე უძილოთ გაათენეს სოხუმისა და ქუთაისის დაწესებულებებში ხეტიალით, ვინძლო სადმე სამართალი ვპოვოთო, გარნა ამაოდ. „რას გვერჩით? შეხედეთ თქვენს ღმერთს, იჯარას პირნათლად ვიხდით და რათ გვართმევთ მამულსო“? მაინც მათი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

და, აი, ერთს მშვენიერ დღეს, როცა მათი ტანჯვით მონაგარი ყანები გაწმენდილ-გათოხნილი მტერს გულს უკლავდა, მოყვარეს კი უხარებდა, მოულოდნელად დაეცნენ „სტრაჟნიკები“, მოღალანე ყანებს მომვლელ პატრონად თავისი ცხენები მიუჩინეს, თვით კი ხალხს ეცნენ: არც კი აცალეს ნაშრომ-ნაღვაწი ყანები მოემკათ და დედაბუდიანა აიბარგეს! ჩემი უძლური კალამი სუსტობს მათის ტანჯვა-ვაების ასაწერად და ამიტომ ვსდუმ. მხოლოდ აღვნიშნავ შემდეგს. იმათის გადასახლების შესახებ ბრძანება გამოგზავნა ტფილისში არსებულ „переселенческая комиссія“-მ. ამ „პრიკაზში“, სხვათა შორის, ეწერა შემდეგი: „რადგან ტუზემცები (მომყავს დაახლოვებით) ხელს უშლიან რუსების დასახლების და კავკასიის გარუსების საქმეს“, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გადაასახლოთ ზემოხსენებული სვანებიო“. და ბრძანება „კომისიისა“ კიდევაც აღსრულდა.

აი მეორე კერძო, გარნა თავის გულქვაობითა და ულმობელობით განსაცვიფრებელი მაგალითი. როგორც მკითხველს მოეხსენება, აფხაზეთიდან მკვიდრთ სათათრეთში გადასახლების შემდეგ დიდ-ძალი მათი მიწა-ადგილი თავისუფალი დარჩა, რომელსაც ყველას, ვინც კი მოისურვებდა, ურიგებდნენ: ერს, ბერს, ეკლესიასა და მონასტრებსაც. მაგალითად, ახალ ათონის მონასტერს მოეზომა შვიდი ათასი დესეტინა საუკეთესო მამული, აქაო და მონასტერმა აფხაზთა შორის უნდა გაავრცელოს ქრისტეს მცნება და სწავლა-განათლება... რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი, რომ ზემოხსენებულ მონასტრის მოღვაწეობა გამოიხატა მხოლოდ იმით, 20—25 მოსწავლეს სამრევლო სკოლისას ინახავს თავის ხარჯით, სკოლის მასწავლებელს კი ჯამაგირს აძლევს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება.

აფხაზეთის უპატრონოდ დარჩენილ მიწების განაწილების დროს არაფერი მიეზომა სოხუმის კათედრას (ეპისკოპოზს) უბრალო შემთხვევით: მაშინ სოხუმში კათედრა არ არსებობდა. თუმცა გვიან, გარნა მაინც ეპისკოპოზმა თავისი წილი მოითხოვა და, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევაც მიეზომა „ნადელი“. დანამდვილებით არ ვიცი, ამბობენ კია, რომ ამ მიზნისათვის 82 დესეტინა მიწა წაერთვა ფშაფის საზოგადოებას (მეგრელებითაა დასახლებული) და 80 ესტონელთა სოფელსაო. ამ ნაჭრებს მიემატა თავისუფალი ადგილიც, და ეპისკოპოზს საზრუნავი გაუჩნდა: ვის გადასცეს იჯარით, ვინ დაასახლოს ზედ! აი თავსამტვრევი კითხვა. რუსი-მოიჯარადრენი ერჩივნათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი არ დასთანხმდებოდნენ იჯარის მიცემას, რადგან, თუ კი მოისურვებდნენ, ისედაც სახელმწიფო ადგილები ბლომად მიეზომებოდათ და თან ხაზინა დიდს შემწეობასაც აღმოუჩენდა. ამიტომ, მხოლოდ ამიტომ მოიწვიეს მეგრელი მოიჯარადრენი. უმიწაწყლობით შეწუხებული მეგრელები სიხარულით ცას ეწეოდნენ და დასახლდნენ. „ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონია, — მითხრა ერთმა მათგანმა. — ყველგან ჩვენის სისხლის წოვის, დევნისა და ჩაგვრის მეტს ვერაფერს ვხედავდით, ამიტომ გვიხაროდა, რომ სიმართლის და ჭეშმარიტების „მოციქულს“ უვარდებოდით ხელშიო; გვეგონა ეხლა სამართლიანად მაინც მოგვეპყრობა „მღვდელ-მთავარი“. ამ აზრით დამშვიდებულნი შეუდგნენ მუშაობას: გაიკეთეს კოხები, მოსწმინდეს ჯაგნარად და ტყედ ქცეული მამული და გაჩაღდა სიცოცხლე და მოძრაობა მაგრამ დახე ბედის უკუღმა ტრიალს. ადრე, სულ ადრე გაურისხდა მეგრელებს მღვდელ-მთავარი, თუმცა იმათ არავითარი დანაშაულობა არ ჩაუდენიათ იმის წინაშე და მათ არავითარი საბუთი არ მიუციათ ასაყრელად. მაგრამ საბუთი რა საჭიროა? საბუთად ის არ კმარა, რომ მეგრელები იყვნენ და ამიტომ სიძულვილის ღირსნი? მეგრელებმაც, **როგორც ჩხალთელ სვანებმა, თავისი „მისია“ ადგილების გაწმენდით დაასრულეს**, და ამიტომ კიდევაც აჰყარეს: ვერც მდუღარე ცრემლებმა და ვერც ხვეწნა-მუდარამ ვეღარ უშველა! 1904 წლის მარტის 25-სა დღესა ბედკრულ მეგრელთ კარზე მოადგნენ „სტრაჟნიკები“, მილეწ-მოლეწეს უდანაშაულო მშვიდობიან გლეხთა სახლ-კარი, ყველა დიდიან-პატარიანა გამორეკეს გარედ, ერთს მათგანს — იოსე თოდუას ფაცხა მთელი თავის მოწყობილობით ცეცხლით გაუნადგურეს ურჩობისათვის, დანარჩენ კოხების კარებს კლიტეები დაადეს და დაბეჭდეს, და ასე და ამ რიგად ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეებში ძმობა-ერთობისა და სათნოების ქვეყნად მოვლინებულის უმაღლეს წარმომადგენლის წყალობით სამოცდაათმა სულმა ყოვლად უდანაშაულო მეგრელმა უსაზღვრო ცას ქვეშ იგრძნო თავი თვისი.

ქვეყანამ ხომ უმუხთლა და უმუხთლა, მაგრამ მარტო ეს არ აკმარა ულმობელმა ზეცამ და საშინელ თოვლ-ჭყაპითა და ქარიშხლით გაუმასპინძლდა მინდვრად დაყრილ ტანჯულთ, რომელთა დანაშაულობას მხოლოდ ის შეადგენდა, რომ უსამართლო განგებამ მეგრელებად გააჩინა. ერთი ამათგანი — ეგნატე კვაშალავა ძლიერ ავად იყო და წესიერების დამცველთ თავის ლოგინით კარში გააგდეს, — ავადმყოფობას გაციება მოემატა და მეორე თუ მესამე დღეს თქვენი ჭირი წაიღო. ცხოვრებისაგან უარყოფილნი 70 სულამდე დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ქ. სოხუმში ეპისკოპოზის კარს მიადგა, გაიარა რა ფეხით 20 ვერსი, და ცრემლებით ევედრა მწყემსთ-მთავარს — ექნა წყალობა და მიეცა ნება მოსავლი, კარზე მომდგარი დღესასწაულები თავის კოხებში გაეტარებინათ, მაგრამ ამაოდ. ასე გასინჯეთ, ადგილობრივ ადმინისტრაციაც კი დაეხმარა ბედკრულთ და სთხოვა ეპისკოპოზს დროებით დაეტოვებინა, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. ვიღაც ეფექტიურ სცენების მოყვარულმა პირმა ურჩია, — მიდით, სასახლის წინ დაიჩოქეთ, ხელები ზეცად აღაპყარით და უსიტყვოდ ისე იდგვით, უსათუოდ შეგიბრალებთო. ეს რჩევაც საქმედ აქციეს, მაგრამ ვერც ამან გასჭრა: ისინი აქედანაც განდევნეს, როგორც „წესიერების დამრღვეველნი.

სოხუმელი.

ოფიციალური ცნობა

(„კავკ.“ № 122)

10 მაისს ერევნის გუბერნიის ქალაქ ნახიჩევანში ერთმა სომეხმა მოჰკლა მაჰმადიანი. თავის მხრივ მაჰმადიანებმაც მოჰკლეს სომეხი. ამას მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა და დაიწყო ორ ეროვნების შორის შეიარაღებული შეტაკება. იმათ დასამშვიდებლად დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქმნა ერევნის ვიცე-გუბერნატორი, რომელთან ერთად წავიდნენ სომეხ გრიგორიანთა ეპარქიის მმართველი და ორი საპატიო მაჰმადიანი და სომეხი. ჩავიდნენ თუ არა ნახიჩევანში, მოლაპარაკება გამართეს მაჰმადიანების და სომხების შესარიგებლად. ამ ლაპარაკის დროს, საღამოს 9 საათზე, ქალაქში სროლა ასტყდა. როცა გარედ გავიდნენ, ნახეს რაზმი ჟანდარმის უნტერაფიცრით და პოლიციელით, რომელთაც დაეჭირათ ორი სომეხი. ამ სომხებს აღმოაჩნდათ ორი რევოლვერი, ორი ყუმბარა, ხანჯალი და დანა. 12 მაისს დილით ქალაქში ასტყდა ძლიერი სროლა. მცხოვრებნი აღარავის აღარ ემორჩილებიან. რადგან ქალაქში საკმაო ჯარი და პოლიცია არ არის, უწესოების ჩასაქრობად ერევნიდან საჩქაროდ იგზავნება ჯარი. სოფ. ხალილუში ღამე ამოსწყვიტეს სომხის ოჯახი. ამის გამო იქ გაემართა სომხის არქიმანდრიტი.

ახალი ამბავი

◆ **თავ. მ. ნაკაშიძის მოკვლის** შესახებ „ტიფ. ლ.“-ს ბაქოდან ატყობინებენ: „გუბერნატორმა თავ. ნაკაშიძემ ერთი საათი სენატორს კუზმინსკისთან დაჰყო და შემდეგ გაემგზავრა გენერალ-გუბერნატორს თავ. ამილახვართან. რადგან თავ. ამილახვარი შინ არ იყო, გუბერნატორი ბირჟის ეტლით დაბრუნდა. ეტლის კოფოზე იჯდა კერძო დამცველი გუბერნატორისა. სამ საათის 15 წამზე, ეტლის მობრუნების დროს, მიხაილოვის ქუჩაზე, „გრანდ ოტელისა“ და „მეტროპოლის“ სასტუმროების შუა, იფეთქა გასროლილმა ყუმბარამ. თავ. ნაკაშიძემ და მისმა დამცველმა სული განუტევეს. შორს გადავარდნილი მეეტლე ძლიერ დაშავდა. ორი ამ ქუჩაზე მიმავალი მეხილე თათარი მოკვდა. დაიჭრა ერთი ცხენი. ეტლი მცირედ დაზიანდა. ახლო მაღაზიების მინები ჩაიმტვრა. მოცვივდა ათასობით ხალხი. გვამი მოკლულ გუბერნატორისა ეტლით მიიტანეს სახლში. ამ კატასტროფის ადგილას დაუყოვნებლივ გაჩნდნენ: გენერალ-გუბერნატორი თავ. ამილახვარი, პროკურორი, პოლიციის უფროსები და სხვა მოხელენი. თათრების და სომხების მაღაზიები იმ წამსვე დაიხურა. ქუჩებში რაზმები გამოიგზავნენ. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს. ფიქრობენ ყუმბარა ერთ-ერთ მახლობელ სასტუმროდან უნდა იყოს გასროლილი. დღეს, ხუთშაბათს, ქუჩებში უფრო სიწყნარეა. მაღაზიები გაიღეს. დაჭრილი მეეტლე ჯერ ცოცხალია. გენერალ-ადიუტანტის ამილახვარის განკარგულებით დღეიდანვე შეჩერებულ იქნა გამოცემა „ბაკინ. იზვეს.“-სა, როგორც მავნე მიმართულების გაზეთისა. გაზეთი აღარ გამოვა მანამდე, სანამ ბაქოში სამხედრო დროის წესები იქნება“.

◆ გუშინ, 13 მაისს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის და ტფილისის გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებლის მეთაურობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ბაქოში მოკლულ **გუბერნატორის თავ. მ. ალ. ნაკაშიძის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ; ნამესტნიკის თანაშემწენი გენერალ-ლეიტენანტი მალამა და ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი, ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიისა და ზოგიერთ მაზრის თავად-აზნაურთა მარშლები და სხვანი.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, იქ დაუპატიმრებიათ ვიღაც კაცი. ეჭვი აქვთ, რომ ის უნდა იყოს გუბერნატორის **თავ. ნაკაშიძის მკვლელი.**

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა და სომეხთა საეპარქიო კონსისტორიამ დეპეშით სთხოვეს ნახიჩევანის ქალაქის მოურავს, გვაცნობეთ რამ **სომეხ-მაჰმადიანთა შეტაკების** შესახებო. ნახიჩევანშივე ერთმა გავლენიანმა ხანმა პაშა-ხან მაკინსკიმ, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია, სთხოვა ხანს რაგიმს, შემოიკრიბოს მაჰმადიანთა შეგნებული ნაწილი და ყოველი საშუალება იხმაროს, რომ სისხლის ღვრა შესწყვიტოს.

◆ **როგორც ნახიჩევანიდან გვატყობინებენ**, 12 მაისს, დილის 9 საათიდან დაწყებული საღამომდის რევოლვერების საშინელი სროლა იყო. თითქმის ყველა სავაჭრო და დუქანი აკლებულია. ჯულფის გზაზე მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს და თავიანთ სოფლებისკენ გაეშურნენ. ჯულფის გზის სავადმყოფოს სანოვაგე შემოაკლდა, რადგან მთელს ნახიჩევანში არც ერთ დუქანში არა მოიპოვებოდა-რა. ერევნიდან იმავე დღეს გაიგზავნა ერთი ბატალიონი ჯარი. გუშინ, 13 მაისს, ნაშუადღევის სამ საათამდე სიწყნარე იყო.

◆ **ბაქოში გაიფიცნენ** ნავთის სამრეწველო ფირმის „არამაზდ“-ის მუშები. ჩვეულებრივ მოთხოვნების გარდა, მუშები, თხოულობენ ფირმის მმართველის ხ. ბ. მარგულოვის გადაყენებას. მარგულოვი, „კავკ.“-ის სიტყვით, მუშებმა თვითონ ჩასვეს ეტლში და წაბძანეს ნავთის სამრეწველოდან. საქმის გამოსარკვევად ფირმასა და მუშებს შორის დაინიშნა სამედიატორო სამართალი. გაიფიცნენ აგრეთვე მირზოევისა და ამხ. ფირმის ნავთის სამრეწველოს მუშები. მუშები თხოულობენ ზოგიერთ მოსამსახურის გადაყენებას. წარადგინეს სხვა მოთხოვნებიც. გაიფიცნენ აგრეთვე კრასილნიკოვისა, ტერ-აკოფოვისა და სარუხანოვის ფირმების მუშები. ნობელის და ბაქოელ რუსთა საზოგადოების ფირმების მუშების გაფიცვა-კი შეწყვეტილა. მუშები ამბობენ, ფირმებმა არ შეასრულეს თავიანთი სიტყვა უკანასკნელ გაფიცვის შემდეგაო.

◆ **ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი** ინჟენერი ი. კ. ივანოვსკი ორის თვით შორეულ აღმოსავლეთში იგზავნება. ინჟ. ივანოვსკი მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდლის ლინევიჩის განკარგულების ქვეშ იქნება.

◆ 15 მაისს რკინის გზის უფროსი მოხელენი აპირობენ, სადილი გაუმართონ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსს ინჟ. ივანოვსკის.**

◆ 12 მაისს, ხმა გავარდა, ვითომ სადგურ ფოილოში ლიანდაგზე დაედოთ ერთი კალათი **ასაფეთქებელ ყუმბარისა.** ამ დროს სახალხო მატარებლით უნდა გაევლო ნამესტნიკის თანაშემწეს გენერალს შირინკინს. ამ საქმის გამოსაძიებლად საგანგებო მატარებლით 12 მაისს, საღამოს 5 საათზედ, წავიდა კომისია, რომელშიაც იყვნენ რკინის გზის ჟანდარმთა უფროსი პოლკოვნიკი სოლოვიოვი, საგუბერნიო ჟანდარმთა უფროსი, სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი. საქმის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ კალათაში, რომელიც ენახათ ლიანდაგზე, ყოფილა თორმეტი ქესტის ყუთი და კრიალოსნები. ყუთებში აღმოჩნდა თათრების წმინდა წყალი, რომელიც თათრებს მოაქვთ მექიდან, როცა სალოცავად მიდიან ხოლმე. ეს მაჰმადიანნიც იქიდან ბრუნდებოდნენ.

◆ **ქართულ გამოცემათა ცენზორმა** ბ-ნმა ჰ. გოთუამ, როგორც გავიგეთ, ქაღალდი შეიტანა სამსახურიდან წასვლის შესახებ.

◆ **მასწავლებელ ქალთა საზოგადოების** წლიური კრება მოხდება კვირას, 15 მაისს, საღამოს 5 საათზე ქალთა პირველ გიმნაზიის დარბაზში. კრებაზე ბევრი საყურადღებო საკითხი იქნება აღძრული და არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

◆ გუშინ, 13 მაისს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა **ნაძალადევისა და ლოტკის კორის მცხოვრებთა** კრება თავიანთ წინანდელ დადგენილების გადასათვალიერებლად. კრებამ დაადგინა, განმეორებით სთხოვოს ქალაქს, უსაიუოდ დაუთმოს იჯარით აღებული მიწები.

◆ **ფარმაცევტები და მეაფთიაქენი** აქამდე შეთანხმდებოდნენ და მუშაობაც განახლდებოდა, რომ ოთხი მეაფთიაქე არ გაჯიუტებულიყო და საქმე არ შეეფერხებინა. გუშინ ქალაქის მოურავს მოლაპარაკება ჰქონდა სამედიატორო სასამართლოს მოწინაამდეგე მეაფთიაქეებთან, მაგრამ ვერაფერი გამოირკვა. ზოგიერთმა მეაფთიაქემ სხვა ქალაქებიდან დაიბარა ფარმაცევტები. როგორც გავიგეთ, ამ დაბარებულთაგან ბევრმა არც-კი იცის, რომ მათის აქ მოსვლით ამხანაგები გაჭირვებაში ჩავარდებიან. ზოგ აფთიაქში ამუშავებენ ისეთებს, რომელთაც ფარმაციისა არა გაეგებათ-რა.

◆ „ივერია“-ს **ქუთაისიდან დეპეშით ატყობინებენ**: „12 მაისს, დილის 10 საათზე, სამეგრელოდან მოიყვანეს 72 სოფლელი, მათ შორის სტუდენტი და მასწავლებელი. მატარებლის მოსვლისას სიმღერა გაისმა“. ეს დეპეშა ჩვენც მოგვივიდა, მაგრამ გუშინ ვერ დაიბეჭდა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ბაკურიანის შტოს მე-25 ვერსზე, **სადაც ექიმ ლამბაშიძეს სანატორია** აქვს, მატარებლები № 73 და 74 ორის წუთით გაჩერდნენ ხოლმე.

◆ მოგვივიდა **საყმაწვილო ჟურნალის** „ნაკადული“-ს მე-13 ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

◆ მდგომარე წელს **ქალაქების უძრავ ქონებებზე** სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადი გაწერილია: ტფილისის გუბერნიის ქალაქების უძრავ ქონებებზე—178,000 მან. ქუთაისისაზე—24,000 მან., ბათუმისაზე—56,000 მ., სოხუმის ოლქზე—4,000 მ. და ზაქათალისაზე—1,000 მ.

◆ „ნაშა ჟიზნის“ მე 82 ნომერში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ამ სათაურით: **„კავკასიის საქმეები“.**

◆ **უფასო და იაფ-ფასიან სასადილოსაჩაიეს** საზოგადოებამ დაადგინა, შემოდგომაზე მოსწავლეთათვის ოლგას ქუჩაზე გამართოს უფასო სასადილო-საჩაიე. რადგან საზოგადოებას სახსარი არა აქვს, იგი გამართავს რამდენსამე გასართობს. პირველი სახალხო სეირნობა გაიმართება ხვალ, 15 მაისს, „ტფ. სობრანიეს“ საზაფხულო განყოფილებაში და დაიწყება ნაშუადღევის 4 საათიდან. აქვე იქნება საქველმოქმედო ბაზარი და საბავშვო საცეკვაო საღამო. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. შესასვლელი ფასი—30 კაპ. მოსწავლეთათვის—20 კაპ.

◆ ქნ. ნინო შარ. ბარათაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „უაზიბეკის ქალთა სკოლის სასარგებლოდ 4 თებერვალს გამართულ ოპერიდან შემოვიდა: ბილეთებისა—1442 მ. 35 კ. და ზრემისა—56 მ. 10 კ., სულ 1498 მ. 45 კ.

დაიხარჯა 906 მ. 45 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 592 მ. როგორც სკოლის გამგეობის მინდობილობით, ისე პირადად მე, საღამოს გამგე, მადლობას ვუძღვნი ყველა იმათ, რომელთაც შემწეობა აღმოგვიჩინეს პრემიების გამოგზავნით და სხვა დახმარებით".

◆ ტფილისის გუბ. სახალხო სკოლების დირექტორი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გორის მაზრის სოფ. ქარელის ორსავე სასწავლებელში განახლდა სწავლა, რომელიც შეწყვეტილი იყო მოკლე ვადით, აპრილის თვის დასასრულს.

◆ გუშინ ტფილისის საპროფესიონალო ქალთა სასწავლებელში დასრულდა ეგზამენები. მეოთხე კლასი ხელოსან ქალის თანაშემწის მოწმობით დაასრულა 24 ქალმა, ხოლო მეხუთე კლასი ხელოსნის მოწმობით 25 ქალმა.

◆ როგორც უკვე იციან მკითხველებმა, ტფილისის თვითმართველობას 500,000 მან. აქვს გადადებული საყასპოს ასაგებად. ამ საყასპოს ასაგებად გამგეობამ დანიშნა საჯარო ვაჭრობა. გუშინ წინ ქალაქის გამგეობას განცხადება მოუვიდა ერთის ებრაელისაგან, რომელიც ეკითხება ნება, მეძლევა მივიღო საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა თუ არაო. გამგეობამ შეუთვალა, მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლიანო.

◆ უკვე გვქონდა დაბეჭდილი ავლაბარში საერობო-საპოლიციო დარაჯთა ცემის შესახებ. ტფილისის საყასბოს უფროსმა ბეითალმა გუშინ ამ ამბის შესახებ ქალაქის გამგეობას აცნობა: 9 აპრილს საღამოთი საყასბოს მეეზოვემ პეტროვმა და დარაჯმა დურგელაშვილმა შემატყობინეს, რომ წინა დღეს საღამოთი სალახებმა სამღვთო გამართეს და მოიწვიეს ორი დარაჯი ვალიშვილი და ისკანდერ-ალიოღლი. თამადად ერთი იმათგანი იქმნა ამორჩეული სმის დროს დარაჯები ისე დაითვრნენ, რომ გაგება აღარაფრისა ჰქონდათ. ერთმა მათგანმა სალახს ჩიბუხი აუტეხა, რადგან მან ლეკური არ ჩამოუარა. მას წამოექომაგა მეორე ხმალ-ამოღებული და დაერივნენ და დააწიოკეს ხალხი. ცოტას ხანს ხმალ-ამოღებული დარაჯი მოვარდა საყასბოს კანტორაში და ტელეფონით ყაზახების გამოწვევა მოინდომა: მამუკის სოფლის სცხოვრებნი „აბუნტდნენ", ყაზახები მოგვაშველეთო. დარაჯმა ვერავის გამოწვევა ვერ მოახერხა, რადგან ტელეფონის მავთულები ჩამოსწყვიტეს მოწინააღმდეგეთ. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა უბნის ზედამხედველი პეტროვიჩაკოვი, რომელმაც შეამოწმა დარაჯის მეტად ცუდი მოქცევა. ეს უკანასკნელი გაცოფებული ამოღებულ ხმლით დატანტალებდა და ხალხს მუქარით უსუსურებდაო. ბეითალი თხოულობს პასუხის გებაში მისცეს დარაჯი უწესობების მოხდენისათვის.

◆ სად. ძეგამი. 11 მაისს, საღამოს 5 საათზედ, როდესაც საქონლის მატარებელს № 160 მე-41½ ვერსზე მიდიოდა, მატარებლიდან გადმოსვლა უნდოდა მამედ-ბეგირ-ალლის, მაგრამ მატარებელს ქვეშ მოჰყვა და გაისრისა.

◆ სად. ევლახი. 13 მაისს სახალხო მატარებელში ნახეს მკვდარი მგზავრი მუხამს მუსაევი.

◆ როგორც სუფსიდან გვწერენ, 12 მაისს, საღამოს 5 საათზედ, სახალხო მატარებელი № 4 დასჯახებია ვაგონს, რომელსაც შეშით ტვირთავდნენ. ვაგონები დაზიანდა. უბედურება არა მომხდარა-რა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც მკითხველმა უკვე იციან, 9 მაისს ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურე პირთ კენჭის ყრით ამოირჩიეს კომიტეტის წევრებად შვიდი კაცი. 10 მაისს კი რამდენიმე კაცის სურვილით დაინიშნა მოსამსახურეთა ხელახლი კრება, რომელზედაც დახურულ კენჭის ყრით მოხდა კომიტეტის წევრთა არჩევნები. ყუთები დაიდგეს ისევ იმ პირებმა, რომელნიც 9 მაისს იყვნენ ამორჩეულნი, გარდა დ. პ. მაჭავარიანისა. ამ უკანასკნელის მაგივრად კენჭი იყარა დ. ა. დგებუაძემ. ამორჩეულ იქმნა ექვსი კაცი: გ. ს. თუთბერიძე, ნ. ა. ფურცელაძე, დ. ა. დგებუაძე, დ. ა. ნაზაროვი, ი. დ. აბზიანიძე და დ. ნ. ავალიანი.

◆ ორშაბათს 16 მაისს, მოხდება ქალაქის საბჭოს მორიგი კრება. ამ დღეს, სხვათა შორის, ხელმეორედ განიხილება საბჭოს მიერ უკვე დამტკიცებული საპენსიო კასის წესდება; განიხილება აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა მიერ ქალაქის გამგეობისადმი წარდგენილი მოთხოვნები.

◆ ქუთაისში, სხვათა შორის, არსებობს ეგრედ წოდებული „ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოება", რომლის თავმჯდომარედ ითვლება ქ-ნი სმაგინისა. წინად საზოგადოების გამგეობა საკმაო მხნეობას იჩენდა: მართავდა თავის საშუალებათა გასაძლიერებლად წარმოდგენებს, საღამოებს; ხელის მოწერით ჰკრეფდა შემოწირულებას, ეწეოდა ღარიბებს და სხვა. ერთ დროს საზოგადოების საქმე იმდენად კარგად მიდიოდა, რომ ღარიბებისთვის უფასო საავადმყოფოს დაარსებასაც კი აპირებდნენ და ქალაქს საავადმყოფოს შენობის ასაგებად ადგილსა სთხოვდნენ. როგორც მახსოვს, ქალაქის საბჭოსა და „საზოგადოების" თავმჯდომარეს ამ ადგილის გამო ცოტა უსიამოვნებაც მოუვიდათ, მაგრამ შემდეგ, მგონი, მორიგდნენ და ქალაქი უსათუოდ უთმობდა საზოგადოებას ადგილს სალორიის აგარაკში. მას შემდეგ გადის რამდენიმე წელიწადი და საზოგადოების საქმეების შესახებ აღარაფერი ისმის. საზოგადო კრებებს აღარ მართავენ, რის გამო აღარავინ იცის აქვს რამე საზოგადოებას, აკეთებს რასმე, თუ არა. ეხლა, როგორც გავიგეთ, ქ-ნი სმაგინისა მოკლე ხანში ქუთაისს სტოვებს და კაცმა არ იცის, რა ბედი მოელის საზოგადოების არსებობას. საჭიროა ქ-ნმა სმაგინისამ მოახდინოს საზოგადო კრება და გააცნოს წევრებს საზოგადოების საქმეების მდგომარეობა.

ტფილისის ქალაქის საქმეები

12 მაისი

ხმ. თავ. არგუთინსკი შეეკითხა ქალაქის მოურავს, რით გაათავეს მოლაპარაკება მეაფთიაქეებმა და ფარმაცევტ-შეგირდებმა. როგორც გავიგეთ, სამედიატორო სასამართლოსა ყველა თანახმა გახდა და მხოლოდ ოთხი-ხუთი კაცია წინააღმდეგიო. მოურავმა აცნობა, რომ თითქმის ყველა დასთანხმდა სამედიატორო სამართალს; ოქმზე ხელის მოწერის დროს რამდენიმე კაცმა განაცხადა, რომ სამედიატორო სასამართლოს თანახმა ვართ, მაგრამ რადგან გაფიცულთა მაგიერ ახლები მოვიწვიეთ, სამედიატორო სასამართლომ რაც უნდა გადასწყვიტოს, ახლებს მაინც ვერ დავითხოვთო. ეს სთქვეს იაკუბოვიჩმა, ზელენინმა, ბაზიეროვმა და ვილარეტმა. ფარმაცევტების წინადადებით, სამედიატორო სამართალმა ყველა საქმე 22 მაისამდე უნდა დაამთავროს. როგორც ხედავთ, საქმე ოთხ მეაფთიაქის გამო ბრკოლდება. ხმ. არგუთინსკიმ და ხატისოვმა განაცხადეს, ეთხოვოს აღნიშნულ მეაფთიაქეთ დასთანხმდნენ სამედიატორო სამართალ, ისე-კი, რომ სამსახურიდან არავინ იქნას დათხოვნილი. თავ. არგუთინსკიმ ისიც დაუმატა, თუ ვინიცობაა ოთხმა-ხუთმა მეაფთიაქემ ჩვენი წინადადება არ მიიღო, ის-ღა დაგვრჩება, რომ მათ ბოიკოტი გამოვუცხადოთ და იმათგან ერთი შაურის წამალი აღარ ვიყიდოთო.

შემდეგ ხმ. ბაბოვმა განაცხადა: თავ. მიქელაძის წინადადებით, საბჭომ დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა, რომ ავლაბრის მცხოვრებთათვის გიმნაზიურ კლასების პარალელური განყოფილებანი გაიხსნას, გარდა ამისა, ამას წინად საბჭომ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის თავების საერთო კრების მოწვევის შესახებ; გვაცნობეთ შესრულა თუ არა გამგეობამ საბჭოს დავალებაო. ქალაქის მოურავმა სთქვა, აღნიშნულ საკითხების შესახებ შუამდგომლობანი უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრო. ხმ. ხატისოვი შეეკითხა, შარშან ძმათა ზუბალაშვილებმა 100,000 მან შესწირეს ქალაქს ბავშვთა სამკურნალოს გასამართავად. ქალაქმა მადლობით მიიღო ასეთი უხვი შემოწირულება და რადგან სთქვეს, რომ შემომწირველნი თვითონ აპირებენ სამკურნალოს შენობის აგებას და საბჭოზე მალეც გააკეთებენ საქმეს, ჩვენ ასეთი წინადადება მივიღეთ, ბ-ნ ზუბალაშვილებს ადგილი ვუჩვენეთ, მაგრამ ჯერ შენობის ასაშენებლად არაფერი გაკეთებულა. შევატყობინეთ, რაც არის ეს საქმე შეჩერებულიო. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა აცნობა საბჭოს, რომ ბ-ნ ზუბალაშვილს უხერხულად მიაჩნია შენობის აგება იმ სამკურნალოს გვერდით, რომლის სადგომი არამიანცის ფულით შენდება, რადგან გასანათებლად ერთი სადგური არ მოუხერხდება და გარდა ამისა ქველმოქმედთა აზრით საბავშვო სამკურნალო ცალკე და კარგ ადგილზე უნდა მოეწყოსო. ახლო მომავალში მცხოვრებთა ჯანმრთელობისთვის მზრუნველ კომისიის სხდომა მოხდება, მოვიწვევთ ბ-ნ ზუბალაშვილსაც და ერთად გადავწყვეტთ, თუ როგორ მოეწყოს საქმეო.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ქვა-ფენილების გაკეთება-შენახვის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა პროექტის განხილვას. საბჭომ უმნიშვნელო ცვლილებებით დაამტკიცა პროექტი სავალდებულო დადგენილებათა. ამ დადგენილებით, ქვაფენილების გაკეთება და შენახვა ევალება მამულების პატრონთ. სიგანით ქვა-ფენილები უნდა იყოს: 7—8-მდე საჟენიან ქუჩებზე 4 არშინი; 6—7 საჟენიან ქუჩებზე—სამი არშინი; 5—6—$2^1/_2$ არშინი, 4—5—2 არშინი და 3—4 საჟენიან ქუჩებზე $1^1/_2$ არშინი. ამ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, ქვაფენილების შესასწორებელ-გადასაკეთებლად დადგენილებათა გამოცხადების დღიდან ადგილ-მამულების პატრონებს ეძლევათ ერთი წლის ვადა.

მენინგიტი

11 მაისს ტფილისში ექიმმა ა. მ. ხატისოვმა წაიკითხა საჯარო ლექცია ამ სათაურით: **„ეპიდემიური მენინგიტი"**. როგორც ლექტორმა განაცხადა, ასი წელიწადი იქნება, რაც ეს სენი ევროპაში აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს. მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში მენინგიტი შეამჩნიეს შვეიცარიაში; აქედან იგი გადავიდა საფრანგეთს, შემდეგ გერმანიას, შვეცია-ნორვეგიასა და ოთხმოციან წლებში რუსეთშიაც. მენინგიტი იგივე ანთებაა. ეს სენი ორ სხვა-და-სხვა ნაირად იჩენს ხოლმე თავს. უფრო ძლიერი ესრედ წოდებული „ფულმინასია", რომელიც მალე მოქმედებს ადამიანის თავისა და ხერხემლის ტვინზე და 24 საათში აითავებს კაცს. დღეს ჩვენში გავრცელდა მეოთხე ფორმის მენინგიტი, რომელიც გადმოვიდა გერმანიიდან. ამ სენის გაჩენას ხელს უწყობს ცუდი ჰიგიენური პირობები, მუდამ გაცივება და სურდო. სენი უფრო ჩნდება ყაზარმებსა, საპატიმროებსა და ღარიბ ხალხის უბნებში. მენინგიტი პირ-და-პირ არ არის გადამდები; შეიძლება გადაედვას კაცს ნერწყვით ან ფურთხით.

ტფილისში მენინგიტი შემჩნეულ იქმნა იანვარში. სენი აქა-იქ გაჩნდა, შემდეგ თებერვალსა და მარტში, გაძლიერდა. რაკი სიცხეები დადგა, სენმა იკლო, ასე რომ ეხლა იგი საშიში აღარ არის. ამ სამ-ოთხი თვის განმავლობაში მიხეილის სამკურნალოში მენინგტიანი ყოფილა 21, კერძო სახლებში—17, რკინის გზის ლაზარეთში—42, ექიმებთან—5. სულ 110. სენი უფრო გავრცელებულა იმ უბნებში, სადაც ხალხი ღარიბად და მჭიდროდ სცხოვრებს. ავადმყოფთაგან 45 პროცენტი გარდაცვლილა. ამ სენის გაჩენას შემდეგი ნიშნებით იგებს კაცი: უვარდება გულის რევა, ძლიერი თავისა და ხერხემლის ტვინის ტკივილი, ოფლს ასხამს და ასუსტებს. რადიკალური წამალი ამ სენის საწინააღმდეგოდ მეცნიერებას ჯერ ვერა გამოუგონია-რა. უკეთესი საშუალება, რამდენადაც ექიმთა პრაქტიკამ დაამტკიცა, ცხელი აბანოა, ყინვის დადება, ვერცხლის წყლით დაზელა, სისხლის გამოშვება. საუკეთესო საშუალება იმისა, რომ სენი არ გავრცელდეს, დეზინფექციაა იმ სახლისა, სადაც ავადმყოფი წოლილა. ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სუფთა ჰაერიანი ოთახი, კარგი სასმელ საჭმელი და ზომიერი მუშაობა, რომ ტვინი არ დაიქანცოს.

რუსეთის ქრონიკა

ბულიგინის კომისია. ამ თვის დამლევს დასრულებული იქნება ბულიგინის კომისიის შრომა. როგორც ისმის, განზრახულია ხალხის წარმომადგენლების მოწვევა პეტერბურგს ივნისში. ამასთან ერობისა და ქალაქის დეპუტატები არჩეული კი არ იქნებიან, არამედ დანიშნული ადმინისტრაციისაგან. ასეთ სისტემის წინააღმდეგ ბევრი ილაპარაკეს თურმე კომისიაში, მაგრამ არა გამოვიდა-რა: ცოტა დრო არის და არჩევანს ვერ მოვასწრებთო. („რ. ს.").

უცხოელ კორესპონდენტის განდევნა. რუსეთში ბევრი უცხოელი კორესპონდენტია ჩამოსული იმ დიდ მოძრაობის გამო, რომელიც დღეს არის იქ. ზოგი მათგანი სოფლებშიაც წასულა ხალხის გასაცნობად. სხვათა შორის, კურსკის გუბერნიაში მისულა ერთი ამერიკელი კორესპონდენტი ულმი და მოუწადინებია გლეხებთან ლაპარაკი, მაგრამ ადმინისტრაციას გაუძევებია. („რ. ვ.").

გაზეთი „ნოვოე ვრემია" და „მატენი". ფრანგული გაზეთი „მატენი" ბოლოს დროს ბევრს რასმე ისეთს სწერდა რუსულ საქმეებზე, რომ რუსის პატრიოტები აღშფოთებული იყვნენ. „ნოვოე ვრემია"-მ ამაღლა ხმა და ხსენებულ ფრანგულ გაზეთს პირდაპირ დასწამა, რომ იაპონელებისაგან მოსყიდულიაო. შეურაცხყოფილ „მატენ"-ს საქმე აღუძრავს სასამართლოში „ნოვოე ვრემიას" წინააღმდეგ ასეთ ცილისწამებისათვის. ფრანგულ გაზეთის მხრივ წარმომადგენლებად რუს ადვოკატებს ორი საუკეთესო წარმომადგენელი იქნებაო, სწერს „რუსკოე სლოვო".

კ. პ. პობედონოსცევი, სინოდის ობერ-პროკურორი, როგორც „დონსკაია რეჩ"-ს გაუგონია, ისეთ ახალ თანამდებობას მიიღებს, რომ შეეძლება გავლენა იქონიოს ყველა ეხლა განზრახულ რეფორმებზედო.

ახალი კანონ-პროექტი პასპორტების შესახებ უკვე შეტანილია სახელმწიფო საბჭოში და პირველ იანვრისათვის ძალაში უნდა შევიდეს. პრინციპიალურად მიღებულია უმრავლესობის პროექტი: პასპორტი სავალდებულო იქნება სატახტო ქალაქებსა და ზოგ დიდ საგუბერნიო ცენტრებში; სხვა ადგილებში-კი პასპორტი სავალდებულო არ იქნება. („ს.").

პოლონური ენა და მინისტრთა კომიტეტი. წინად გაზეთები გვატყობინებდნენ, რომ მთავრობის წრეები თანახმა პოლონურ ენაზე შემოიღოს სწავლება სკოლებშიო. დღეს-კი გაზეთ „სლოვო"-ს შეუტყვია, რომ მინისტრთა კომიტეტს შესაძლებლად ვერ უცვნია დაკმაყოფილება პოლონელების შესაფერ შუამდგომლობისა. სამღვთო სჯული და პოლონურ ენის გრამატიკა ასწავლეთ პოლონურად, დანარჩენი საგნები-კი ისევ რუსულად უნდა ისწავლებოდესო.

არა-ჩვეულებრივი პროცესსი. მოკლე ხანში მოსკოვში უნდა გაირჩეს ერთი საინტერესო საქმე: მუკდენის ბრძოლაში მოკლულ აფიცრის ქვრივი უჩივის 40 ათას მანეთს თავის ქმრის უფროსს, გენერალს. ამ საჩივარს ასაბუთებს ქვრივი გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებით: ჩემის ქმრის სიკვდილის მიზეზი გენერალი იყო; იგი ისე დაიბნა და დაჰკარგა გონება, რომ, როცა უკან დაიხია, დაავიწყდა ამ უკან დახევის ამბავი ეცნობებინა წინ გაგზავნილ რაზმისათვის, სადაც ჩემი ქმარიც იყოო. ხვთის ანაბარას მიტოვებული რაზმი სულ გაუჟლეტიათ იაპონელებს (რუსი).

გაფიცვა. 6 მაისს გამოსულ რუსულ გაზეთებში ვკითხულობთ:

„მეოთხე დღეა სარატოვის გაზეთები არ გამოდის. ქალაქ დვინსკში დაკეტილია რიგა-ორლოვის რკინის გზის სახელოსნოები. დიდძალ მუშებს ანგარიშს უსწორებენ და ითხოვენ.

კიევ-პოლტავის რკინის გზის მუშებს ანგარიში გაუსწორეს. მოწვეულია სხვა ქალაქების მუშები.

პალის მანუფაქტურამ (პეტერბურგში) გამოუცხადა მუშებს, რომ ფაბრიკა დაიხურებაო. აქ 2000 მუშაა.

სამარაში შესწყდა გემების დაცლა-დატვირთვა".

თეატრი

ქართული ოპერა. 9 მაისს სარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოადგინეს ქართულ ენაზე როსინის ოპერა „სევილიელი დალაქი".

როცა დავაპირე ოპერაში წასვლა, ცოტა არ იყოს, ფიქრში ჩავვარდი—დასახლოვებით ვიცოდი რა ძალა შეგვწევს ოპერის წარმოსადგენად და ვფიქრობდი—ვაი თუ პირველმა ცდამ ისეთი გამოდგეს მეთქი, რომ შემდეგში ფიქრადაც არავინ გაივლოს ოპერის დადგმა ქართულ ენაზე.

თეატრში ბევრი ხალხი შეკრებილიყო, ყველას ერთსა და იმავე დროს მოუთმენლობა და შიში ეტყობოდა; ფარდის ახდამ დაიგვიანა, მაგრამ ამან არავინ გააკვირვა,—ეს ხომ ჩვენს წარმოდგენებს ჩვევად გადაექცა.

გამოჩნდა დირიჟორი, ხალხი დაწყნარდა. ორკესტრმა ოპერის შესავალი გაათავა. მწყობრად შესრულებამ უვერტურისამ, საბუთი მისცა დამსწრე საზოგადოებას, რომ ოპერის მონაწილენი სახუმრად არ მომზადებულან. და, რასაკვირველია, ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა დირიჟორი.

აიხადა ფარდა. სცენაზე გამოვიდა უმთავრეს როლის აღმასრულებელი (ალმავივა) ბ-ნი რჩეული. მიუხედავად იმისა, რომ ამ საღამოს ხმაზე ვერ იყო, რამდენადაც ჩვენ შევამჩნიეთ, პირველი და უძნელესი თავისი არია დიდის მოხერხებითა და შნოთი შეასრულა; ამას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ბ-ნ რჩეულის მოქნილი ხმა, რაც აუცილებლად საჭიროა ალმავივას როლის აღმასრულებლისათვის. როლის ზედმიწევნით ცოდნამ, შესაფერმა ხმამ და გამოცდილებამ ბ-ნ რჩეულს ხელი შეუწყო, რომ თავიდან ბოლომდის ღაზათით და გემოვნებით წაეტარებინა თავისი პასუხ-საგები როლი.

უმთავრესი როლი „სევილიელ დალაქში" ხომ ფიგაროა—ფიგარო ნასკვს ჰკვრის ნასკვს, იგივე ხსნის, ამიტომ ამ როლის აღმასრულებელს ოპერაში ბევრი პასუხის გება აწევს თავზე; ეს იყო რომ ბევრი ეჭვში იყო, ვაი თუ ბ-ნმა ცხომელიძემ ვერ სძლიოსო სიძნელე. საბედნიეროდ, ეს არ გამართლდა. თავიდან ბოლომდის არ უღალატნია როლისათვის და ისეთის სიმკვირცხლითა და შნოთი გაატარა თავისი როლი, როგორც მუსიკალურის, ისე თამაშის მხრით, რომ ყველა, ვისაც კი წინად უნახავს ბ-ნი ცხომელიძე სხვა როლში, განცვიფრებაში იყვნენ მოსულნი. გვინახავს ბ-ნი ცხომელიძე სხვა როლში და ყოველთვის მოუხეშაობა ახლდა თან. ეხლა კი თვით როლის სიმკვირცხლემ გაიტაცა, თუ სხვა რამე იყო მიზეზი, თავის ნაკლი, თუ მთლად არა, უმეტესი ნაწილი თავიდან აეცილებინა. ვოკალური მხარე როლის შესრულებისა აქა-იქ კოჭლობდა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში როლის სიძნელეს, და მცირე ხნის მომზადებას, გვჯერა რომ ამ ნაკლსაც აიცილებს თავიდან ბ-ნი ცხომელიძე და შემდეგში გვარიანი ფიგარო დადგება.

როზინას როლი ერთსა და იმავე დროს ადვილიცაა და ძნელიცაა; ეს იმაზეა დამოკიდებული, რა საზომს მიმართავს მსმენელი, როცა როლის აღმსრულებელს აფასებს. თუ შედარებას მიმართა, მაშინ იშვიათი მომღერალი ქალი დააკმაყოფილებს, რადგან როზინას როლი კოლორატურო სოპრანოს პარტიაა და ნამდვილი კოლორატურა იშვიათი დარგია ვოკალურ სფეროში; ამიტომ ბევრნი აღტაცებით იხსენიებენ თითო ოროლა მომღერალს როზინას როლის აღმსრულებელს და ამით ათავებენ საქმეს. თუ ამ საზომით არ გავზომავთ ქ-ნ მიტკევიჩის ნიჭსა და უნარს, იგი უნდა აღვიაროთ კარგ როზინად; მოხდენილი გარეგნობა და მიმოხვრა, გამომეტყველი სახე, ცელქი და მკვირცხლი თამაში, წმინდა და წკრიალა ხმა, კარგი და მკაფიო გამოთქმა და ჩვეულებრივი სოპრანოსთვის რიგიანი კოლორატურა, ქ-ნ მიტკევიჩს გაცილებით მაღლა აყენებს პროვინციის ოპერების როზინას როლის ბევრს აღმსრულებელზე. დამსწრე საზოგადოებამ ქ-ნა მიტკევიჩი ხშირის ტაშის კვრით დააჯილდოვა.

დონ ბაზილიოს როლი ვოკალურის მხრით ბ-ნ აკასიმ თვალ-საჩინოდ შეასრულა, ხოლო თამაშში გადააჭარბა, შარჯს მიმართა და ამან უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე; რაც შეეხება ბარტოლოს როლს, იგი ბ-ნმა კარგარეთელმა თავის მოხდენილისა და დარბაისელის თამაშით სწორეთ დაამშვენა.

სუყველაზე პასუხ საგები როლი ამ საღამოს ხვდა ბ-ნ ქართველს, რომელსაც არა ერთხელ მიუღია თავის თავზე ასეთი პასუხის გება და, მისდა სასიქადულოდ, პირ-ნათლად გამოსულა ყოველთვის განსაცდელისაგან. განსაცდელი-კი ამ საღამოს დიდი იყო; პირველად ქართული ოპერა, გამოუცდელი მოთამაშენი, სუსტი და შემთხვევით შემდგარი ორკესტრი—ყველა ეს ძალა უნებურად გვაფიქრებდა, რომ ბ-ნი ქართველი სამძიმო საქმეს ვერ გაუძღვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მოთამაშეს ბ-ნ ქართველის ჯოხისაკენ ეჭირა თვალი და რამდენსამე შემთხვევაში არტისტებმა არიის შესავალი დროზე ვერ დაიწყეს, ბ-ნმა ქართველმა ხელოვნებით გაატარა მთელი ოპერა და ერთი თვალსაჩინო შეცდომა, გინდა შეცდომა არავის შეუმჩნევია. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბ-ნი ქართველი, თუ იმეცადინა და ნიჭს არ უღალატა, დიდ სამსახურს გაუწევს მუსიკის პოპულარიზაციას ქართულ ენაზე.

ორიოდე სიტყვა ლიბრეტოზედაც ქართულ ენის კეთილ-ხმოვანობაზე მუსიკალურის მხრივ. მე, მართალი გითხრათ, სრულებით დამაკმაყოფილა ამ მხრით ლიბრეტომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო ორ-ოლა უხერხულ სიტყვს, რომელიც ოპერაში ყურს ეხამუშებოდა, რაც ლიბრეტოს მთარგმნელის გამოუცდელობას უნდა მიეწეროს და არა ქართულ ენის კეთილ-ხმოვანობას, მაგრამ მე ჩემს თავს მაინც არ დავუჯერე და დავეკითხე არა-ქართველთ ამ საგნის შესახებ. ყველამ ერთხმად აღიარეს, რომ ქართული ენა მუსიკალურის მხრით არა თუ ჩვენ, იტალიელსაც კი დააკმაყოფილებსო. ამ გარემოებას მე დიდ-მნიშვნელობას ვაძლევ ქართულ მუსიკის განვითარების საქმეში.

დასასრულ, არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის, თუ რა მადლობის ღირსნი არიან ქართულ ოპერის მოწყობის მეთაურნი, რომლებიც კარგს ინებებენ თუ გაიმეორებენ „სევილიელ დალაქს" მოკლე ხანში. პ. უ—ნი.

პრესსა

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ რუსეთის სახელგანთქმული მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი მართლმადიდებელ ეკკლესიის გამგეებმა მავნე კაცად იცნეს და განარიდეს ეკკლესიიდან. ეს მოხდა იმ დროს, როცა მართლმადიდებლობისაგან განდგომა დანაშაულობად იყო აღიარებული და განდგომილთ პასუხის გებაში აძლევდნენ. დღეს უმაღლესი მანიფესტის ძალით ეს წესი მოსპობილად უნდა ჩავთვალოთ. მართლმადიდებლობიდან განდგომილნი არ უნდა დაისაჯნენ. როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში უწმ. სინოდიო, კითხულობს გაზ. „Нов." ნუ თუ ძალაში დასტოვებს იმ შეჩვენებას, რომელიც მან გამოუცხადა ჩვენს სახელგანთქმულს მწერალს ტოლსტოის და ამნაირად ბოროტი ვნება აღძრა ხალხში.

როცა ტოლსტოის განრისხება და შეჩვენება გამოუცხადეს, ისე ცუდად იმოქმედა ამ გარემოებამ ხალხზე, რომ მწერალს ლანძღვა-გინებით სავსე წერილები მოსდიოდა. უვიცმა ხალხმა გულ-უბრყვილოდ დაუჯერა სინოდის განჩინებას და ტოლსტოი თითქმის ანტექრისტედ აღიარა. დღეს სინოდის მოვალეობაა აღადგინოს მის მიერ გატეხილი სახელი ტოლსტოისა, უმაღლესის მანიფესტის ძალით უდანაშაულოდ უნდა იცნას მართლ-მადიდებელ ეკკლესიისაგან განრიდებული ტოლსტოი და საჯაროდ უნდა გამოაცხადოს თავისი განკარგულება ამის შესახებაო.

⁂

ჟურნ. „ვესტ. ევროპი" ეხება საყურადღებო მანიფესტს სარწმუნოების თავისუფლების შესახებ, რომლითაც იწყება ახალი ხანა რეფორმების მონატრულ რუსეთის ხალხის ცხოვრებაში, და შედეგ აზრებს გამოსთქვამს:

> ვინ იფიქრებდა ამ რამდენისამე წლისა, ან თვის წინად, რომ მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც თითქო ასე მტკიცედა და უძრავად იდგა და რომელსაც ასე ბეჯითად იცავდნენ იმისი ერთგულნი შვილნი, ასე ადრე იქნებოდა ცნობილი ისეთ შენობად, რომელსაც დანგრევის მსგავსი შიკეთება სჭირია? ვინ იფიქრებდა, რომ ასე ადრე გამომჟღავნდებოდა სიყალბე იმ თავმოიწონე ვიწრო პატრიოტ-შოვინისტებისა, რომელნიც ურცხვად გაიძახოდნენ, ჩვენი მთავრობა სრულებით არ სდევნის სხვა რჯულის მიმდევართაო? უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი თავის მოვალეობად სთვლიდა ყოველ წელს ან ორ წელიწადში ერთხელ საჯაროდ გამოეცხადებინა დღეს ოფიციალურად უარყოფილი მოვლენა: „რუსეთის მთავრობა ყოველნაირ რჯულის მიმდევართ ითმენსო". ამავე დროს რუსეთის მწვალებლები დიდ ტანჯვა-წვალებას ითმენდნენ მთავრობისაგან. მათი შემავიწროვებელი კანონები სავსებით მოქმედებდნენ და ობერ-პროკურორის ანგარიშში ის აზრიც იყო გატარებული, რომ მცირე შეღავათებსაც, რომელიც მიანიჭეს მწვალებლებს, შეიძლება არა-სასურველი, მავნე შედეგი მოჰყვესო. მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დევნილ მწვალებელთა ღაღადისს. ძალადობა გაბატონებული იყო და დღეს ოფიციალურად ცნობილ და მოსპობილ იქმნა.

წერილები

ოზურგეთი. თუმცა არსად პატარა დაბა-ქალაქებში ქარხნები არ არის და ამიტომ მუშა ხელი ცოტაა და არც ისე შევიწროვებული და დაბეჩავებულიო იტყვით თქვენ, მაგრამ დღეს არც ერთი ქალაქის ქარხნების მუშები შედარებით ისეთ ცუდ პირობებში არა სცხოვრობენ, როგორც რომელსამე პროვინციალურ ქალაქებში, მით უმეტეს დაბაში. არავითარი განსაზღვრული დრო შესვენებისა, მუშაობისა, ჭამა-სმისა და შეგირდობის ხელობის შესწავლისა არ არსებობდა დღემდის და ზოგან არ არსებობს დღესაც. დღემდის ოზურგეთში პატარა, უმეტესობა მცირეწლოვანი, ხელოსნები, ერთობ ცუდ მდგომარეობაში იყვნენ და დღეში ოცდა ოთხს თუ არა, ოცს საათს მაინც მუშაობდნენ!.. თითონ ჩემის თვალით მინახავს, მეწუღლეების ბავშვები—რომ დილას ღამიანად სანთელთან მუშაობდნენ. ღამეც პირველ და მეორე საათამდე მუშაობა ხომ ჩვეულებრივია!..

დღეს ხალხმა გამოიღვიძა, თვალი გაახილა. როგორც ყველგან, აქაც წარუდგინეს ალებს მოთხოვნილებანი ნოქრებმა და ხელოსნებმა. პირველად, როგორც დებუშით გაცნობეთ, კრება იყო მხოლოდ მეწუღლეებისა და გადასწყვიტეს, ერთი-ორი მუხლის შეცვლით დაეკმაყოფილებიათ ყველანი, მაგრამ ბოლოს რაღაც აღარ ეპაშნიკათ და უარი სთქვეს. თითონ შეადგინეს რაც მათ უფრო მოუხდებოდათ და რითაც მომუშავენი კიდევ უფრო უარეს პირობებში უნდა ჩავარდნილიყვნენ. ზოგი საშინლად გაჯავრებულა „ყაზილარების" ასეთ საქციელისთვის!.. აქვე მოგვყავს ნოქარ-შაგირდთა მოთხოვნილებანი: 1. სამუშაო დრო—თორმეტი საათი; 2. ხელობის შესასწავლად დრო უნდა განისაზღვრებოდეს $2^1/_2$ წლით. შემა

დეგუხელობები: ხარაზობა, სტოლიარობა, მჭედლობა თერძობა და დალაქობა, მეუნაგრეობა და ფეხსაცმელის მკერაობა—სამის წლით, მეფურნეობა-კი ერთი წლით. სავაჭრო ნაწილებში: საფართლოში, ბაკალეინაში და სხვა—ორის წლით. 3. ძველი შაგირდები ახალ პირობაზე უნდა იქნენ ჩაყენებულნი, 4. გაუმჯობესება სასმელ-საჭმლისა, ბინისა, ტანისამოსისა, აბანო თვეში ერთხელ; 5. ავადმყოფ შაგირდს ხაზეინმა შემწეობა უნდა აღმოუჩინოს, როგორც საკუთარ ოჯახის წევრს, ერთის თვის განმავლობაში. ამავე ვადაში შაგირდს ადგილი უნდა ენახებოდეს; 6. შაგირდის დასჯა და დათხოვა მიზეზის გამოუკვლევლად არ მოხდეს; 7. ზრდილობიანი მოპყრობა; 8. აიკრძალოს 13 წლამდის შაგირდის აყვანა; დანარჩენნი განთავისუფლებულ იქნან; 9. მაღაზიების, სახელოსნოების და სხვა სავაჭროების დაკეტა კვირა დღეს მთელის დღით (აქ არ შედის ის სავაჭრო სახლები, სადაც იყიდება ხორცი და პური), სხვა უქმე დღეებში უნდა გაიღოს 12-ზე და დაიკეტოს 4 საათზედ; 10 საქმის დღეებს როგორც სახელოსნო, ისე სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობა იწყებოდეს დილის შვიდ საათზედ და თავდებოდეს საღამოს რვა საათზედ; 11. დაწესდეს ნახევარი საათი საუზმისათვის და ერთი საათი სადილისათვის; 12. კვირა-უქმე დღეებს გარდაც მოგვეცეს თავისუფლება არა ნაკლებ თხუთმეტი დღისა კერძო საქმეებისათვის; 13. ჯამაგირიან ნოქრებს მიემატოთ მანეთზედ ოც და ხუთი კაპეიკი.

სილა

ქ. თელავი. თუმცა თელავში გაძლიერებულ დაცვის წესები არ არის გამოცხადებული, მაგრამარც არაფერი უკლია. გაიჩარხა მოვაჭრეების საქმე. წინად თუ 8—9 საათზე ჰკეტავდნენ, ეხლა უფრო გვიან დაუწყეს კეტვა. წინად თუ ადრე აღებდნენ, ეხლა უფრო გარიჟრაჟის დროს დაიწყეს ვაჭრობა. წავიდა ის დრო, რო კა ქარგალნოქარ-მოსამსახურეები გაიფიცნენ, როცა 8 საათზე იღებოდა დუქნები და რვა საათზევე იკეტებოდა. იღებ-იკეტებოდა ასე, რადგან აღებს ეშინოდათ „ბიაბრუობა" არ გვაჭამონ „ლაწირაკებმა", ექ დუქნებს ქვები არ დაუშინონო.

დატრიალდა ჯარა. ისე ციბრუტივითა ტრიალებენ ჩვენი მასწავლებლები, იქნება მოსწავლეთა გაფიცვა თუ არა, ეხლავე არ დაგვდგომოდა კანიკულებიო. თუმცა მაშინ თითქმის ყველა სასწავლებელში ზოგიერთი პედაგოგი ხელს უშლიდა, მაგრამ ეს მარტო მთავრობისათვის უნდა დაენახვებინათ, გულით-კი უსურვებდნენ ყოველივე სიკეთეს, მაგრამ სიკეთეს არა ჰხედავენ... სიტყვით თუ უშლიდნენ, სამაგიეროდ გულით სწადდათ, მაგრამ არავინ გრძნობდა მათს გულის თქმას და ისევ ავნი გამოდიოდნენ. იქნება ზოგმა მისაყვედუროს, რა ნიშანში ამოგვიღიოვო. მაგრამ ვახსენებ მისთვის, რომ მათ ბევრი მოეთხოვებათ, თორემ სხვა უწყების მოხელენი ყველამ იცის, რანი არიან. თელაველ მოსწავლეთა მშობლებმა ხომ შეარცხვინეს თავიანთი შვილები. არა ჰგვანან სიღნაღელებს (ვიღებ მაგალითად მის მეზობელ სიღნაღს, თორემ სხვა ქალაქს სად შეედრება), რომელნიც მშობელთა კრებაზედ მიემხრნენ შვილების მოთხოვნილებას და გამოაცხადეს, ვიდრე თხოვნას არ დააკმაყოფილებთ, ვერ გამოვგზავნით ჩვენ შვილებსაო.

დეკადენტი

ქ. სოხუმი. აქაც ბევრი ხანია გაიძახიან: ძმობას, ერთობას. აქაც მღერიან ერთობის ჰანგზე. აქაურმა მუშა ხალხმა და ნოქრებმა იუქმეს პირველი მაისი (რაკი პირველი მაისი კვირა იყო, ერთი დღით ადრე, 30 აპრილს დაიწყეს უქმობა). დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. კვირას, 1 მაისს, წირვის შემდეგ, ეკკლესიის ეზოში უნდოდათ მოლაპარაკება, მაგრამ ვერ მოახერხეს. ნაშუადღევს ხალხმა თავი მოიყარა ქალაქს გარედ. თამაშის დაწყებისთანავე გაჩნდა პოლიცმეისტერი რიხტერი, მაგრამ შემდეგ ისევ წავიდა. მერე ხალხმა დაიწყო თავის პირ-ვარამზე ლაპარაკი..

იაკო ბჯ-ოღლი

წერილი რედაქციის მიმართ

I

„ცნობის-ფურცელსა" და „ივერიაში" ამ დღეებში დაიბეჭდა ჩვენი კოლექტიური წერილი მემამულეთა და მიწის მუშათა შორის დღევანდელის გამწვავებული ურთიერთობის შესახებ. ორმავე რედაქციამ ჩვენს წერილს მასთანა შენიშვნები უძღვნა, რომ არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ.

ჩვენი წერილიდან ორსავე რედაქციას ის აზრი გამოუყვანია, თითქო ჩვენ „აგრარული საკითხების გადაფუჩეჩება" გვსურდეს. ვნახოთ, რამდენად მართალია ეს აზრი.

ჩვენს წერილში ორ ადგილას ვეხებით ეკონომიურ ურთიერთობას—და აი ეს ადგილებიც. 1) „დღეს დღეობით ერთად ერთი „სადავო საგანი" მემამულეთა და მიწის მუშათა შორის—მიწის ღალაა; მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს უთანხმოება ადვილად გასწორდება სხვა უფრო მშვიდობიანის გზით: ამისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთმანეთის მისევა და წვა-დაგვა"; 2) „საადგილ-მამულო პირობანი, ადგილების ბაჟისა და ღალის შესახებ, ურთიერთ შორის „დროებით", სანამ თავისუფალ ერის წარმომადგენელნი ამ საკითხს შესაფერის კანონმდებლობით გადასწყვეტდენ,—ერთმანეთთან მშვიდობიანის შეთანხმებით ან მედიატორულის წესით მოაწესრიგონ".

დაკვირვებული მკითხველი პირველი წაკითხვათვე მიხვდება, რომ მოყვანილ სიტყვებიდან სრულიად არა სჩანს, თითქო ჩვენ „აგრარულ საკითხების გადაფუჩეჩება" გვინდოდეს; პირიქით, პირდაპირ ვამბობთ, რომ ეს არის მემამულეთა და მიწის მუშათა შორის „სადავო საგანი" და საჭიროთ ვსთვლით ამ ურთიერთობის მოწესრიგებას; ჩვენ ვამბობთ, რომ ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ ნორმალურ კანონების დაწესება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ეს თავისუფალ ერის წარმომადგენლებზე იქნება დამოკიდებული; დღეს დღეობით კი გამწვავებულ ურთიერთობის ჩასაქრობად ორ საშუალებას ვასახელებთ: ან ერთმანეთთან მშვიდობიან შეთანხმებას, ან მედიატორულ სასამართლოს. ნუ თუ აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, თითქო ჩვენ აგრარულ საკითხების გადაფუჩეჩება გვინდოდეს?!

„ივერიის" რედაქცია, სხვათა შორის, ამბობს: „ასზე მეტ თავად-აზნაურს, რომელნიც კოლექტიურ წერილს აწერენ, უფრო მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა მოეთხოვება, ვიდრე სჩანს მათს წერილშიო". ამასთან იმასაც გვწამებს გაზეთი, თითქო ჩვენ „ხალხს ჭეშმარიტებათ" მიგვაჩნდეს ინტელიგენტებისაგან სოფლებში წვა-დაგვისა და მოკვლა შესევის ქადაგება.

ამის პასუხად ჯერ ერთი ის უნდა მოვახსენოთ პატივცემულ რედაქციას, რომ, როგორც „ცნობის ფურცელს", ისე „ივერიასაც" უსაფუძლოთ მოუნათლავს ჩვენი წერილი თავად-აზნაურობის სახელით: „ფრთხილი და წინდახედული" მკითხველი ადვილათ მიხვდება, რომ ჩვენს კოლექტიურ წერილს ხელს აწერენ ინტელიგენტები, რომელთა შორის მრავალი არა თავად-აზნაურებიც ურევია. მართალია, ეს წერილი თავად-აზნაურთა კრებაში იყო წაკითხული და კრებისაგან მოწონებული, მაგრამ ინტელიგენტების სახელით იყო ის შედგენილი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ინტელიგენცია თავის თავს დამნაშავეთ არა სცნობს წვა-დაგვისა და ერთმანეთის შესევის ქადაგებაში. ფრთხილსა და წინდახედულ პრესას არ უნდა გამოეპარებოდა ეს გარემოება, რადგან ის საჯაროთ იყო კრებაშივე აღსარებული. მეორე, ჩვენის წერილიდან სრულიადაც არა სჩანს, თითქო ჩვენ გვჯეროდეს ინტელიგენტებისაგან წვა-დაგვის და შესევის ქადაგება; ჩვენ ვამბობთ: 1) „თავად-აზნაურობის მრავალი წევრი აცხადებს, რომ ეს სამწუხარო მოვლენა თითქო პირდაპირი შედეგი იყოს სოფლათ მოსიარულე ზოგიერთ ინტელიგენტებისა და განათლებულ ყმაწვილების ქადაგებისა, თითქო ესენი ხალხს ეუბნებოდენო" და სხვა. ეჭვი არა გვაქვს, „ივერიის" რედაქციას კარგად ესმის, რასაც ნიშნავს სიტყვა თითქო! 2) „დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულ ინტელიგენტებს არაფერი საერთო არა აქვთ იმათთან, რომელნიც მოძმეებს შორის შურსა და მტრობას სთესენ". შეუძლებელია, ამ სიტყვებიდან მკითხველმა ის აზრი გამოიყვანოს, თითქო ჩვენ ინტელიგენტებისაგან სოფლებში წვა-დაგვისა და შესევის ქადაგება „ხალხს ჭეშმარიტებათ" მიგვაჩნდეს! მეორე მხრით, კაცმა განგებ უნდა ყური მოიყრუოს და თვალი დაიბრმავოს, რომ უარყოს სოფლად ზოგიერთის „არამკითხე მოამბეების" ცრუ-ქადაგება, ვითომდა ინტელიგენტებისა და სხვა-და-სხვა კომიტეტების სახელით. ნუ თუ ამ შემთხვევაში საზოგადოების შეგნებული ნაწილი და განსაკუთრებით პრესა მოვალე არ არიან—საქმეში ჩაერიონ და ხალხის მოძრაობას გონიერი მიმართულება მისცენ?! ჩვენი ორივე გაზეთი იმას ამბობს, რომ წვა-დაგვისა და შესევის წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ დღევანდელი ეკონომიური ურთი-ერთობა, აგრარული პირობები ანორმალურათ მიგვაჩნია—და მათი მოწესრიგებაა საჭირო. „ცნობის-ფურცელი" პირდაპირ ამბობს: „ჩვენც ვეწინააღმდეგებით, ჩვენც სამწუხაროთ და მავნებლად მიგვაჩნია წოდებათა შორის არსებულ ანგარიშების ცეცხლითა და მახვილით გასწორება, მით უმეტეს ეხლა, როცა საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა თხოულობს, დროებით მაინც, ძალების შეთანხმებას (კურსივი ჩვენია)! ჩვენც სწორედ ამას ვამტკიცებთ ჩვენს წერილში, და, მაშასადამე, რადას გვეკამათებიან ჩვენი პატივცემული რედაქციები?! ნუ თუ „ივერია" ამაზე ამბობს: ჩვენი მიმართულება ძირითადად ეწინააღმდეგება თავად-აზნაურთა (?) მიმართულებასო?!.

ამ სახით, პატივცემულ „ივერიის" შენიშვნა ჩვენის „სიფრთხილისა" და „წინდახედულობის" შესახებ მეტად უსაფუძვლოა; პირიქით, ჩვენ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ჩვენის წერილის ადვილად გასაგები შინაარსი გადაასხვაფერეს და უკუღმართი აზრები მოგვაწერეს. ამას ჰქვია ჩვენში „კაცმა შედგება" და „ჩემი შენ გითხარ"-ობა! სიფრთხილე, წინდახედულობა და საზოგადოდ სამართლიანობა, რასაკვირველია, ყოველ ადამიანს მართებს, მაგრამ ყველაზე უფრო პრესას მართებს ეს გონივრული და კეთილშობილური თვისებანი.

პირველი ჩვენი წერილის ხელის მომწერთაგან ოცმა ინტელიგენტმა უკვე წაიკითხა ეს წერილი და მოიწონა მისი შინაარსი, და რადგან 104 კაცის, და ისიც უთუოდ აღნიშნულ პირების, თავის მოყრა ძნელი აღმოჩნდა, ამიტომ ამ ოცმა კაცმა მომანდო—ვსთხოვო პატივცემულს „ცნობის ფურცლისა" და „ივერიის" რედაქციებს—დაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი თავის ორგანოების უახლოეს ნომრებში. სრულიად დარწმუნებულნი ვართ, დანარჩენი ხელის მომწერნიც თანახმა იქმნებიან ჩვენის საპასუხო წერილის შინაარსისა.

ამასთან საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ მრავალი ინტელიგენტთაგანი, რომელთაც ჩვენს წინა წერილზე შემთხვევით ხელი არ მოუწერიათ და რომელთაც ეს ახალი წერილიც წაიკითხეს, სავსებით თანაუგრძნობენ ამ წერილების შინაარსს. *)

ქუთათურ ინტელიგენტთა ჯგუფის მონდობილობით **ს. თ. ხუნდაძე.**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

13 მაისი

შანხაი, 12 მაისი. თანახმად სარწმუნო წყაროებისა იანგცის შესართავთან მისულა ნებაყოფლობითის ფლოტის 5 გემი, 3 მენახშირე და ერთიც რუსის კრეისერი. 7 კრეისერი ისევ წასულა. ვუზუნში მივიდა ნებაყოფლობითის ფლოტის 3 გემი.

ტოკიო, 12 მაისი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რუსის პეკინელმა რწმუნებულმა მოითხოვა პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც მონგოლიაში ნეიტრალიტეტის დარღვევას შეეხება; თუ პასუხს არ მომცემთ, იმ შემთხვევაში რუსის ჯარებს ჩინეთის ტერიტორიით გავატარებთო.

სეული, 12 მაისი გაიხსნა სეულ-ფუზანის რკინის გზა.

შანხაი, 13 მაისი. „დეილი ტელეგრაფ"-ს ტელეგრაფით აუწყებენ, დაბნელებისას ვუზუნში 7 მაშველმა კრეისერმა გადიაგდო ღუზა ისე, რომ სიგნალიც არ მიუცია იაპონელთათვის მოსვლაზე, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია. აქ აუარებელი სურსათია დამზადებული ბალტიის ესკადრისთვისო.

სიმფეროპოლი, 12 მაისი. გუშინ სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე პროკლამაციების გავრცელების შესახებ. გლეხს კოკოვიაკინს ერთის წლის ციხე და აზნაურ სადოვსკის 8 თვის საპყრობილე გადაუწყვიტას. წინასწარ დამწყვდევის დრო ორივეს ჩაეთვალათ.

მოსკოვი, 11 მაისი. მეფაბრიკეთა და საფაბრიკო ინსპექტორთა რჩევამ მოსკოვის გუბერნიისამ გადასწყვიტა, მუშათა კავშირის ორგანიზაცია უნდა იყოს თავისუფალი და მუშებზე უნდა იყოს მინდობილი.

ხელ-ფასი უნდა დაწესდეს დამქირავებელთა და მუშების შეთანხმებით. სამუშაო დროის საკითხი არ გადაწყდა, თუმცა ინსპექტორები ათს საათს თხოულობდნენ.

ვერხნეუდინსკი, 13 მაისი. მოვიდა კიახტიდან პრინცი ფრიდრიხ ლეოპოლდ პრუსიელი. ნაშუადღევს 4 საათზე ჩიტაში წავიდა.

კრონშტადტი, 13 მაისი. დილით მოულოდნელად გაიფიცნენ პორტის მუშები ჯამაგირის დაჭერის გამო. შეტაკება არ მომხდარა. ფლოტის მთავარმა კამანდირმა ბრძანა დააკმაყოფილონ მუშების მოთხოვნები, მუშაობა განახლდა.

ადესა, 13 მაისი. სტამბებში განახლდა მუშაობა. სთო-ამწყობების მოთხოვნები დააკმაყოფილეს.

უფა, 13 მაისი. გუბერნიის მმართველის განკარგულებით დაიხურა მენზელინის შეერთებული კლუბის კრება.

ტომსკი, 13 მაისი. ფარმაცევტების კურსების დამაარსებელნი შუამდგომლობენ, ნება მიეცეთ ქალებსაც ტომსკის უნივერსიტეტში ლექციებზე სიარულისა.

კიევი. მეტი წილი ვაჭართა მომხრეა 12 საათის მუშაობისა დღეში და ვაჭრობის აღკვეთისა კვირა-უქმეებში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

13 მაისი.

ლონდონი, 12 მაისი. მტკიცდება ის ცნობა, რომ 9 მაისს წყნარ ოკეანეში კ. ბატანის აღმოსავლეთით და ფორმოზის სამხრეთით შეამჩნიეს ბალტიის ესკადრის 50 გემი; ეს გემები ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ წასულან.

ლონდონი, 12 მაისი. არავითარი სარწმუნო ცნობები არ მოსულა საზღვაო ბრძოლის შესახებ. ტოკიოც სდუმს.

გონკონგი, 12 მაისი. მაკაოდან მოსული დეპეშები ამოწმებენ, რომ 9 მაისს გემ „ხოტჩინ"-ს დაუნახავს 12 სამხედრო გემი ჩინეთის ზღვაში, 140 მილზე გონკონგის სამხრეთით. იქვე ახლოს 200 ჯონკა ყოფილა სურსათით დატვირთული.

მანილლა, 12 მაისი. ადმირალ ტრაინს არ მოსვლია საზღვაო ბრძოლის დამამტკიცებელი ამბები. მან საჩქაროდ გაგზავნა ჩრდილოეთისკენ ამერიკის კრეისერი „ცინცინატტი".

გონკონგი. იაპონიის ზღვაში ცუსიმის სრუტე სქელის ჯანღითაა მოცული.

ტოკიო, 12 მაისი. ოფიციალური. რუსებმა სიმაგრეები ააშენეს სიკოუს გზასთან ვიენპაომენის ჩრდილოეთით, მაგრამ 10 მაისს გაძევებულ იქნენ. დღეს რუსის 4-მა ესკადრონმა იერიში მიიტანა ტაატუნზე, ჩანჩუნიდან 8 მილის მანძილზე, მაგრამ გაძევებულ იქნენ იქიდანაც. მეორე დღეს კავალერიამ მონგოლიის ჩრდილოეთ საზღვრისაკენ დაიხია.—არა ოფიციალურის ცნობებით, რუსის კავალერიამ ამას წინად იმიტომ დაზვერა ლიაოხეს დასავლეთი მხარე, რომ უნდოდა შეეტყო, იაპონელები ხომ არ არიან მონგოლიის საზღვართანო; რუსები ძლიერ გაჰკვირდნენ, როცა იქ იაპონელების დიდ-ძალი ჯარები ნახეს. ჰფიქრობენ ამ ჟამად რუსის ესკადრის ნაწილი ხაინანთანაა. უმთავრესი ძალები კი წყნარ ოკეანეში გავიდნენო.

კოპენგაგენი, 12 მაისი. მთავრობას ცნობა მოუვიდა, რომ რუსის წყნარ ოკეანის მეოთხე ესკადრა დანიის წყლებში გაივლის და ისე წავა შორეულ აღმოსავლეთში ივნისის გასულს ახალის სტილითო.

ლონდონი, 13 მაისი. „დეილ ხრონიკლ"-ის სოფიელი კორესპონდენტი ირწმუნება, მე შემიძლიან დავამტკიცო, რომ რუსებმა უნდა შეიძინონ ახალი სამხედრო გემები, მათ რიცხვში, 4 ჯავშნიანი კრეისერი და სამი კონტრ-ნაღმოსანი, რომელთაგან ორი ახალის კონსტრუქციის იქნებაო. ეს გემები არგენტინის რესპუბლიკამ მიჰყიდა გასულ კვირას ბულგარეთის მთავრობასაო. რუსის ორი ათასი მეზღვაური წავიდა ლიბავიდან ახალ გვინეის ნაპირთან, სადაც ამ გემებს, რომლებზედაც ბულგარეთის ბაირაღებია აშვებული, რუსეთის მოხელეებს გადასცემენ. ბულგარეთი ჯილდოდ 5 მილიონ მანათის მასალას მიიღებს რკინის გზისათვის. ლოკომოტივებს და ვაგონებს რუსეთში ააშენებენ. ამ საქმის შედეგზე სრულებით არა სწუხს ბულგარეთი, რადგანაც მას არ განუცხადებია, რომ იგი ნეიტრალიტეტს დაიცავს რუსეთ-იაპონიის ომში.

კანეია, 11 მაისი. პალატამ გამოაქვეყნა მოწოდება კრიტოსელებისადმი, რომ, თუმცა სახელმწიფოებმა მესამეჯერ სცნეს კრიტოსის უფლება საბერძნეთთან შეერთებაზე, მაგრამ მათ ამასწინათ განაცხადეს, რომ შეუძლებელია კუნძულის შეერთება და შემოღებულ იქნება მხოლოდ ფინანსიური და ადმინისტრატიული რეფორმებიო.

იშიმი, 12 მაისი. იშიმის მაზრაში არსდება ზეთის კეთების შესასწავლი დიდი სკოლა სამიწად-მოქმედო სამინისტროს ხარჯზე, რომელმაც 24 ათასი მანეთი გადასდო ამისთვის.

ადესა, 12 მაისი. უცხოელ გაზეთების ცნობა, ვითომც ადესაში ხოცვა-ჟლეტა მომხდარიყოს და ფაბრიკებისთვის ცეცხლი წაეკიდებინოთ, ტყუილია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

---

*) ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი და ამ წერილს ვბეჭდავთ მხოლოდ ჯგუფის თხოვნით. რედ.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 10 მაისს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,85
ბერლინისაზე „	46,80
პარიზისაზე	37,65
პარიჟის დისკონტი	5½, 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅛
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	290
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	255
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	196¾

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

გორის ქალაქის თვით მართველობა იწვევს ექიმს გორის ქსენონისთვის, სადაც ამ ჟამად ექიმის თავისუფალი ადგილია. (3—6.—3)

ლუდის ქარხანა

ლუიზა დავითის ასულის მადერის მემკვიდრეებისა ტფილისში

აუწყებს პატივცემულ მუშტრებს, რომ აქციზის გადიდებისა (33 პროცენტით) და მუშების ქირის მომატების გამო იძულებულია პირველ მაისიდან შემდეგ ფასად გაჰყიდოს ლუდი:

ვენისა ბოჩკებით ვედრა	1 მ. 30 კ.
ექსპორტი „ „	1 მ. 50 კ.
ექსპორტი, ბოთლი	— 10 კ.
ცარსკოე „	— 10 კ.
ბოკი „	— 12 კ.

ეს მცირედ მომატებული ფასი მაინც არ ჰფარავს წარმოების გაძვირების მიზეზით გამოწვეულ ხარჯს. (4—3).

ლუდის ქარხანა

რ. რ. დიტრიხისა

ტფილისში

აუწყებს თავის პატივცემულ მუშტრებს, რომ აქციზის გადასახადის გადიდებისა და მუშების ქირის მომატების გამო იძულებული გახდა მცირედ აეწიოს ლუდის ფასი. დღეიდან გაიყიდება ლუდი

ბოჩკებით ვედრა	1 მ. 30 კ.
შავი ლუდი ბოთლი	— 13 კ.
ცარსკოე ბოთლი	— 12 კ.
ექსპორტი ბოთლი	— 10 კ.

(4—3).

ლუდის ქარხანა

ოტო მადერისა

აუწყებს პატივცემულ მუშტრებს, რომ ჩვენი ქარხანა იძულებულია 15 მაისიდან მოუმატოს ლუდის ფასს, რაიცა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ შემოღებულია ახალი სააქციზო გადასახადი, წინანდელზე 33 პროცენტით მეტი, და მიემატა ჯამაგირი ქარხანაში მოსამსახურეთ. ლუდი ამიერიდან გაიყიდება შემდეგ ფასად:

ლუდი ბოჩკებით, თვითეული ვედრა	1 მ. 30 კ.
სასადილო ლუდი, ბოთლი.	— 10 კ.
პილზენის ლუდი ბოთლი	— 11 კ.

(4—3).

ჭიათურაში

ისყიდება ქვითკირის დუქანი

ერთის ოთახით, დახურული კრამიტით. მსურველთ მიმართონ ტეხნიკს პეტანაძეს ჭიათურაში. (5—1)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ—365—22 7.

მთავარი საწყობი

შეშისა

✦ პ. ი. ყურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოქნის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან მიღებულია და ვიღებთ ყოველ დღე დიდ-ძალ შეშას,** სხვა-და-სხვა ღირსებისას; რცხილისას, წიფლისას, რთხმელისას, მუხისა და სხვა. მუხის დიდ-ბოძებს. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. **მსყიდველს შეუძლიან რკინის გზის სადგურზედვე მიიძინოს შეშა ვაგონობით,** რაც შედარებით, მთავარ საწყობთან, **იაფად დაუჯდება. ფასები** ყველა გვარ შეშის საჟენებზე **გადაჭრილია.** განყოფილება მთავარ საწყობისა ვერის ხიდის ყურთან, ყორღანოვის მამულში.

(90—55)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ლუდის ქარხანა

✦ თ. კ. ვეტცელის მემკვიდრეებისა ტფილისში, ✦

აუწყებს თავის პატივცემულ მუშტრებს, რომ აქციზის გადასახადებისა და მუშების ქირის მომატების გამო იძულებული გახდა 15 მაისიდან მოუმატოს ლუდის ფასს. ამიერიდან გაიყიდება:

ვენის ლუდი ბოჩკებით ვედრა	1 მ. 30 კ.	ექსპორტი ლუდი, ბოთლი	11 კ.
ექსპორტი„ „ „	1 მ. 50 კ.	პილზენისა (ნათელი	12 კ.
ვენის ლუდი, ბოთლი	— 10 კ.	მიუნხენისა.	12 კ.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მცირედ გადიდებული ფასი მაინც არ ჰფარავს იმ ხარჯს, რომელსაც ჩვენ ვეწევით წარმოების გაძვირების გამო. (4—3).